არქიმანდრიტი პაველინე
სქემაში გური (მიშჩენკო)

მამა ანდრონიკეს ცხოვრების მოკლე აღწერა

თბილისი
2006

სქემარქიმანდრიტი გური

წიგნი დაიბეჭდა მეუფე ანდრიას კურთხევით

ტექსტი რეცენზირებულია საპატრიარქოს
სარეცენზიო კომისიის მიერ.

რედაქტორი: გვანცა კოპლატაძე

ტექსტი თარგმნა: ირინე კაჭარავამ

ქრისტეს ეკლესიის ჩაუქრობელი ლამპარი სქემარქიმანდრიტი ანდრონიკე წარმოშობით პოლტავის გუბერნიის რომენსკის მაზრის სოფელ ლუპადან იყო.

იგი დაიბადა 1888 წლის 12 თებერვალს გლეხის ოჯახში. ნათლობისას დაარქვეს ალექსი. მისი მამა, ანდრია ლუკაში, იყო ფოსტალიონი და სამაზრო ქალაქ რომენსკიდან დაჰქონდა ფოსტა. მისი დედა აკილინა დიასახლისი იყო.

ამ დიდი ამბას დედა ლამაზი იყო. მას გარეგნულადაც ეტყობოდა რწმენა, ღმრთისმოსაობა, კრძალულება, ღმრთისა და მოყვასის სიყვარული იგი ძალად მიათხოვეს ადამიანს, რომელიც ნამდვილად არ იყო მისი ქმრობის ღირსი. ანდრია ლუკაში ძალიან იყო მიდრეკილი ლოთობისკენ, ამ სამარცხვინო ჩვევისკენ. ამასთან ერთად, იგი იყო სასტიკი, ფიცხი და გაღიზიანებული. ეს კარგად იცოდა ღმრთისმოსავმა ცოლმა და არ ეწინააღმდეგებოდა ქმარს არც სიტყვით, არც საქმით. უხმოდ ემორჩილებოდა ქმარს, თუმცა გაღიზიანებული ქმარი მას სასტიკად სცემდა. უფრო ხშირად ეს ხდებოდა სიმთვრალის დროს.

მალე აკილინა გახდა დედა ფილიპეს, შემდეგ იოანეს, ბარბარესა და ანგელოზის მსგავს ალექსისა რომელზეც ჩვენ მოგითხრობთ.

მამა ანდრონიკეს სიტყვით, უფროსი შვილი ფილიპე, იყო ზედმიწევნით წყნარი, მოკრძალებული, მშვიდი. იგი 18 წლისა გარდაიცვალა. და, ბარბარეც, ადრეულ ასაკში აღესრულა. იოანემ ღრმა მოხუცებულობამდე მიაღწია. მან მამისგან მემკვიდრეობით ბევრი ცუდი თვისება მიიღო, ასე რომ ღმრთისმოსავმა დედამ ვერც მის ხელში გაიხარა. აკილინა გრძნობდა, რომ ალექსი ღვთის შვილი იყო და ამიტომ მის მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა. იგი ავსებდა მის სულს ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულით, უღვიძებდა სინდისის ხმას, რომელსაც აღარ მიძინებია მთელი ცხოვრების

მანძილზე. თავმდაბალი აკილინა თავის შვილს ასწავლიდა ლოცვებს, პირჯვრის გადასახვას და აჩვევდა ეკლესიურ ცხოვრებას. დროდადრო დედა ამჩნევდა, რომ ბავშვი ჩუმად დგებოდა ღამით მუხლებზე და მკერდზე გადაჯვარედინებული ხელებით ლოცულობდა მისი ასაკისთვის განმაცვიფრებელი გულმოდგინებით დედ-მამისა და ძმებისთვის. ამ სულიერ ნიჭს ემატებოდა სხვა თვისებებიც: უშფოთველი უწყინარობა და ურყევი სიმშვიდე. ეს თვისებები ნეტარმა ცხოვრების ბოლომდე შეინარჩუნა.

შვიდი წლის ყმაწვილი მიიყვანეს სოფლის სამწლიან სასწავლებელში. სწავლით ალექსი ვერ ბრწყინავდა, მაგრამ კლასში არ ჩარჩენილა. თვითონ ამბობდა: "გამოცდები რომ ვერ ჩამებარებინა, მამა თავისი სისასტიკის გამო დაუსჯელს არ დამტოვებდა,მაგრამ ჩემდა გასაკვირად, გამოცდებზე ყოველთვის იმას მეკითხებოდნენ, რაც კარგად ვიცოდი. ასე რომ, თვით ღმერთი მეხმარებოდა."

სკოლის დამთავრების შემდეგ მამამ იგი მოაწყო მეეტლედ. ალექსი დაატარებდა სოფლის უფროსობას სამაზრო ქალაქში და ხანდახან ფოსტასაც წაიყოლებდა ხოლმე. იმდენად გულმოდგინედ ასრულებდა ალექსი ამ საქმეს, რომ ხშირად სერიოზულ დავალებებსაც აძლევდნენ. როდესაც გზად, მარტო რჩებოდა, იგი გონებით გადადიოდა იმ სამყაროში, სადაც უფლის სახელი იდიდება. დედა ხშირად უამბობდა ბიჭს მონასტრებზე, განმარტოებულ მოსაგრე ცხოვრებაზე. ალექსი ბავშვობიდანვე ენთო ბერული ცხოვრებისადმი სიყვარულით. ამგვარად, ღმერთი მან სიყრმიდანვე შეიყვარა და ღმერთსაც უყვარდა იგი.საღმრთო სჯულის თანახმად, იგი ყოველივეში ემორჩილებოდა მშობლებს. ბავშვობიდან ამ წუთისოფლის ამაოება ამძიმებდა ალექსის და მან საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ უმჯობესი იყო ევლო ვიწრო, მწუხარე ბერული გზით, ვიდრე ეცხოვრა სოფელში რომელშიც ვნებათა და ვაებათა სავსე ტალღები ხმაურობენ.

მედროგედ მუშაობის ჟამს ალექსის მაზრის მდივანთან ერთად, რომელიც სიძედ ეკუთვნოდა, ძირითადად საპასპორტო საქმიანობისთვის უხდებოდა სიარული ქალაქში. სწორედ იგი დაეხმარა მას ვადაზე ადრე აელო პასპორტი და აზრადაც არ მოსვლია, რომ ალექსის პასპორტი სახლიდან წასასვლელად სჭირდებოდა.

ერთხელ, კვირა დღეს, როდესაც ალექსი საღმრთო ლიტურგიის დამთავრების შემდეგ სახლისკენ მიდიოდა, მას მწირი შეხვდა. ალექსი მას თავმოდრეკით მიესალმა. ზდილობიანმა ყმაწვილმა მწირის ყურადღება მიიქცია და მან ჰკითხა: ჩანს შენ არა ამასოფლის მკვიდრი ხარ. ვხედავ, გული მონასტრული ცხოვრებისკენ მიგიწევს. ალექსიმ ოხვრით უპასუხა, რომ ბავშვობიდან ოცნებობს მონასტრულ ცხოვრებაზე, მაგრამ აქამდენ ვერ შეძლო ჩანაფიქრის განხორციელება, რადგან არც ერთ მონასტერში არ ყოფილა.

უცნობმა უპასუხა, რომ ნამყოფია რუსეთის ბევრ მონასტერში, ყოფილა იერუსალიმში, წმინდა ათონის მთაზე. თუ მოისურვებ შემიძლია რუსეთის რამდენიმე სავანე გაგაცნო, - უთხრა მწირმა ამისთვის საჭიროა ერთმანეთს სადმე შევხვედეთ. შემდეგ მან ყმაწვილს ყურადღებით შეხედა და დაუმატა: შინ თქვენთან უხერხული იქნება. ალექსიმ დაუდასტურა მამამისი მკაცრი იყო და მწირების მიღებას მიუჩვეველი.

მეორე დღეს უცნობი და ალექსი ერთმანეთს შეხდნენ სასაფლაოზე. ალექსი კვლავ თავმოდრეკით მიესალმა მას. უცნობმა უამბო რუსულ მონასტრებზე, მათ წეს-ჩვეულებებსა და ტიპიკონზე. ალექსიმ შეიტყო კიევო-პეჩერის ლავრაზე, ტროიცა-სერგიევოს ლავრაზე, საროვის, ვალაამის, გლინის და ოპტინის სავანეთა შესახებ. გლინის უდაბნოში ყველაზე მკაცრი ტიპიკონია, ათონური. მსახურება ძალზე ხანგრძლივია: ღამის 12 საათზე იწყება და დილამდე გრძელდება. კელიებში ქალებს არ უშვებენ და, საერთოდ, ყველაფერში დიდი სიმკაცრეა,- უამბობდა მწირი.

აღფრთოვანებული ალექსი ხარბად უსმენდა და თავისთვის გლინის უდაბნო აირჩია. გლინის, - იმწამსვე გადაწყვიტა ალექსიმ. შემდეგ კი მიმართა მწირს: გყავთ თუ არა ნაცნობი გლინის უდაბნოში?

დიახ, მყავს - გლინის უდაბნოს წინამძღვრის მესენაკე, მისი ყოფილი მორჩილი. მოგცემ ამ სავანის მისამართს, მესენაკეს-თან წერილს გაგატან, იგი შენზე იზრუნებს, - უპასუხა მწირმა.

მეორე კვირას მან მართლაც მისცა ალექსის გლინის სავანის მისამართი და წერილი ბერისთვის.

რამდენიმე ხნის შემდეგ ალექსიმ მონასტერში წასვლის მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო. დედას გზის დალოცვა სთხოვა. აკილნა აღელდა. მამას რა ვუყოთ?- შეეკითხა იგი.

ალექსი კი მორჩილად შეევედრა: დედა, გამიშვით, ხომ იცით, მამა შემეწინააღმდეგება, მე კი იქ უკუნისამდე თქვენზე მლოცველი ვიქნები. მამა ხომ თქვენც არასოდეს გიშვებთ მონასტერში. იმ იმედით, რომ უფალი არასოდეს დატოვებდა მის საყვარელ შვილს წყალობის გარეშე, აკილინამ მოიხსნა თავისი პატარა ჯვარი და დალოცა შვილი, რის შემდეგაც შეეკითხა: როდის დაბრუნდები? თუ სამუდამოდ მიემგზავრები?

არ ვიცი, როგორც ღმრთისმშობელი ინებებს,- უპასუხა ალექსიმ და სასწრაფოდ სადგურში გაიქცა. მან მოასწრო ბილეთის აღება და დაძრულ ვაგონში ასვლა _ პირველად ცხოვრებაში.

ვაგონში მან ადგილი მოხუცს დაუთმო. ის დაჯდა და შეეკითხა: საით მიემგზავრები, ყმაწვილო? ალექსიმ უპასუხა, რომ მიემგზავრება გლინის უდაბნოში. მოხუცი მწირი გამოდგა,იგი წმინდა ადგილების, სოფრონის მონასტერის, გლინისა და პეტრე-პავლეს უდაბნოთა თაყვანისცემად მიდიოდა. ალექსიმ სთხოვა მოხუცს, მეგზურად გაჰყოლოდა გლინის უდაბნომდე, რაზეც თანხმობა მიიღო.

ამგვარად, უფლის წყალობით, ალექსიმ პირველად გადააბიჯა გლინის წმინდა სავანის ზღურბლს. როცა მონასტრის მკვიდრ ბერებს შეხედა, როგორც თვითონ იხსენებდა, ისინი ანგელოზებს ჰგავდნენ. ალექსის სული უფლისმიერმა მადლმა მოიცვა და მან უდიდესი სიყვარული იგრძნო. ჩემი გონება აფორიაქდა,- ამბობდა ბერი, - და მე მთელი სულით,გონებითა და სულთქმით მივმართე ზეციურ დედოფალს, მივეღე მეც ამ სამწყსოში, რომელიც მან შეკრიბა უფლის დაუცალებლად სადიდებლად, ამ ანგელოზთა სწორ მონაზონთა რიცხვში.

ალექსიმ აღთქმა მისცა ღმრთისმშობელს, რომ სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა უფალს და ყოველივეს აიტანდა, მოითმენდა და არ განეშორებოდა ამ გზას მთელი ცხოვრება. ამის შემდეგ ალექსიმ იგრძნო გულში კიდევ უფრო დიდი სიხარული და სასოება ღვთისმშობლის მოწყალებისა.

ძმებმა,რომელნიც შეხვდნენ მას, მიიყვანეს ბერთან, მამა იოანესთან, ვისთანაც მწირმა წერილი გამოატანა. მან ალექსი ალერსიანად მიიღო და მიაცილა წინამძღვართან. ალექსიმ წინამძღვარს შესთხოვა, ძმათა რიცხვში მიეღო. წინამძღვარმა უპასუხა, რომ ისინი სიდუხჭირეში ცხოვრობენ და მძიმე მორჩილებებს ასრულებენ. ალექსიმ მხურვალედ შესთხოვა

მიღება და აღუთქვა ყველანაირი სიძნელეებისა და გაჭირვების უდრტვინველი დათმენა, ოღონდაც დაეტოვებინათ იგი უფლის სახლში. წინამძღვარმა გადასცა პასპორტი მამა იოანეს და უბრძანა, წაეღო კანცელარიაში და ჩაერიცხა ალექსი ლუკაში საძმოს სიაში. ეს იყო 1906 წელს.

ალექსის მისცეს მორჩილება სასტუმროში (ასე იყო მიღებული გლინის უდაბნოში). ასე დაიწყო ამ დიდი მოსაგრის ცხოვრება, ცხოვრება სულიერი, სავსე განუწყვეტელი ლოცვით, ენერგიული და დაუღალავი შრომით, რითაც გამოირჩეოდა ეს ბერი მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში. მან გაატარა ცხოვრება სულიერსა და ხორციელ ვნებებთან ბრძოლაში, რომელთა გადასალახავადაც გმირული ძალისხმევა იყო საჭირო, რომ ქრისტეს უღლის ჭეშმარიტი მატარებელი გამხდარიყავი.

გლინის სავანის ბერები მართლაც მძიმე მორჩილებებს ასრულებდნენ სამრეცხაოში, საქონლის სადგომში, ბოსტანში. მონასტერში იყოს ფერწერის სახელოსნო, სადაც წერდნენ ხატებს, წიგნის ასაკინძი სახელოსნო, სამკერვალო, სადურგლო და სხვა სახელოსნოები, სადაც მონაზვნები შრომობდნენ.

შუაღამისას კი იწყებოდა ღმრთისმსახურება. მთელ ღამეს ატარებდნენ ლოცვებში, გალობაში, ფსალმუნთა კითხვაში, მარხვითა და მღვიძარებით. ასეთი შრომით მონაზვნები სასოებდნენ მომავალ ნეტარებასა და მყუდროებაზე, რომელთაც მოიპოვებდნენ არა როგორც ღმრთის ჯილდოს გმირული თავგანწირვისათვის, არამედ როგორც ღმრთისმშობლისა და მისი შვილის, ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს წყალობას.

საერთო წესდებით, მორჩილება სასტუმროში გრძელდებოდა 6 თვე, რის შემდეგაც ახალ დამწყებებს აცმევდნენ კაბას და აძლევდნენ სკვნილს, ქამარსა და სკუფიას

ალექსიმ სასტუმროში იმსახურა მხოლოდ 3 თვე. სულიერი ხელმძღვანელობა ხედავდა მასში ჭეშმარიტად ღმრთის ნებას მინდობილს სიმდაბლით სავსე მორჩილს,. ამიტომ დროზე ადრე ჩააცვეს კაბა, რომლის ჩაცმაც მას ასე სწყუროდა. ამის შემდეგ ალექსიმ უკვე ნამდვილად იგრძნო თავი ერთ-ერთ მათგანად, ვინც თავი ღმრთის მსახურებისთვის გადადო. იგი ცხოვრობდა მორჩილებთან, რომელთა შორის არ იყო არც მტრობა, არც სიცრუე, არც წყენა, არც შურისძიება.

მორჩილი ალექსი მიაბარეს სულიერ მოძღვარს, ბერმონაზონ არისტოკლეს (სქემიღუმენი ანტონი, აღესრულა გლინის უდაბნოში 1946 წელს).

სასტუმროს შემდეგ ალექსის მისცეს მორჩილება სამრეცხაოში. ტიპიკონის თანახმად, სამრეცხაოში მორჩილები 1-დან 2 წლამდე ატარებდნენ. რა ასაკის ან განათლებისაც უნდა ყოფილიყო დამწყები, მას უნდა გაევლო მორჩილების ეს ხარისხები - სასტუმრო, სამრეცხაო. თუ მორჩილი მონასტრული ცხოვრების ერთგული იყო, სამრეცხაოს შემდეგ იგი გადაყავდათ სხვა მორჩილებებზე - სამზარეულოში, საცხობში, სადურგლოში, სამკერვალოში. ზოგიერთებს ეკლესიაშიც ამსახურებდნენ - გააჩნია მორჩილი, რა ნიჭით იყო დაჯილდოებული, ზოგიერთებს კი სახლში აბრუნებდნენ.

მორჩილებათა აღსრულების მიუხედავად, მთავარი საკუთარ თავზე გამარჯვება, სიძნელეების გადალახვა იყო, საკუთარი ჩვევების, უარყოფითი მხარეების გარდაქმნა და გულის ავსება ცხოვრების ამ წესით. სასულიერო ხელმძღვანელობისთვის ნათლად ჩანდა თითოეული დამწყების სულიერი მდგომარეობა - შეძლებს თუ არა ის მომავალში იცხოვროს ცხოვრების ამ არჩეული წესით, საკუთარი თავის მთლიანი უარყოფით.

მორჩილების შესრულებას არ სჭირდებოდა დიდი ფიზიკური ძალა, აქ მხოლოდ თავდადება იყო საჭირო იმ გზისთვის, რომელსაც მორჩილი დაადგა. შედარებით სუსტებს დიდხანს არ აჩერებდნენ სამრეცხაოში. როგორც კი მორჩილებისა და მოთმენის უნარს შეამჩნევდნენ, გადაჰყავდათ უფრო მსუბუქ საქმიანობაზე.

სამრეცხაოში ალექსიმ გამოიჩინა თავი, როგორც დაუღალავმა მშრომელმა, მდუმარემ და მორჩილმა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა და იგი 9 თვეში გადაიყვანეს მონასტრის სამზარეულოში, სადაც მან ორი წელი დაჰყო. მას ავადმყოფების მოვლაც მოსწონდა (მონასტერში საავადმყოფოც იყო). ავადმყოფებთან მორჩილი ალექსი თავისუფალ დროს დადიოდა.

სამზარეულოში 2 წლის მორჩილების შემდეგ ალექსის ჩააცვეს კაბა, რაც ნიშნავდა ბერობის პირველ საფეხურს. ახლა უკვე კაბასა და კამილავკაში გადასაფარებლით ჩაცმული ალექსი ითვლებოდა ანაფორიან მონაზვნად. ალექსი გადაიყვანეს მონასტრის იღუმენის სამზარეულოში, სადაც

ამზადებდნენ სტუმრებისთვის, რომლებიც ჩამობრძანდებოდნენ ხოლმე მონასტერში და იღუმენთან იყვნენ მიღებაზე.

ცოტა ხანში მშობლებმა გაიგეს შვილის ადგილ-სამყოფელი და დედამ ინახულა ნეტარი. როდესაც დედამ შვილი ბერის სამოსში ნახა, სიხარულისგან ცრემლებს ვერ იკავებდა. იგი ალექსის სახლში დაბრუნებაზე მაინც ოცნებობდა, მაგრამ ამავე დროს ძალიან გაუხარდა შვილის ნახვა ანგელოზის სახეშემოსილი.

ისიც უნდა გავიხსენოთ, თუ რა დაითმინა მადლიანმა დედა აკილინამ შვილის გამო თავისი სასტიკი მეუღლისგან. ანდრია ლუკაში მკაცრად მოითხოვდა შვილის ადგილ-სამყოფელის გამხელას,რაზეც მეუღლე პასუხობდა, რომ არ იცოდა, სად იყო წასული იგი. მოგვიანებით, როდესაც მამამ გაიგო, რომ შვილი მონასტერშია, მიხვდა, რომ ალექსი არ იქნებოდა მისი დამხმარე სიბერის ჟამს. მიუხედავად ამისა, მან აკურთხა შვილი მის მიერ არჩეული ცხოვრებისთვის.

იღუმენის სატრაპეზოში მორჩილება გაგრძელდა სამ წელიწადს, რის შემდეგაც შემოსილ ალექსის მისცეს ახალი მორჩილება შორეულ სკიტში, რომელიც ტყის შუაგულში მდებარეობდა და სამი ვერსით მოშორებული იყო მონასტრიდან. სკიტი დაარსებული იყო სქემარქიმანდრიტ ილიოდორის მიერ პატარა მდინარის ნაპირას.

სკიტში ცხოვრება ძალზე გამკაცრებული იყო. ქალებს ეზოში შესვლის უფლებაც კი არ ჰქონდათ. აშ წყნარ, განმარტოებულ ადგილზე ალექსი ასრულებდა გადამწერის (კელარ) მორჩილებას და დაუღალავად შრომობდა.

გვერდზე სენაკში ცხოვრობდა ბერი, რომლიც ღამეებს ლოცვაში ატარებდა. ალექსის ესმოდა მისი მეტანიების ხმა და ეს კიდევ უფრო მეტად აღუძრავდა საუფლო ცხოვრებისადმი მისწრაფებას. ბერი ანდრონიკე მრავალი წლის შემდეგ დიდი აღმაფრენითა და სიყვარულით იხსენებდა სკიტში ცხოვრებას, რომელიც, მისი სიტყვებით, ანგელოზებრივი იყო.

სკიტში ალექსიმ სამი წელი იცხოვრა. აქედან ის ჯარში გაიწვიეს პოლონეთში, სადაც სამი წელი და 6 თვე დაჰყო.

სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ ალექსი დაბრუნდა მშობლიურ მონასტერში. მან მიიღო მორჩილება მონასტრის საფუტკრეში მუშაობის. 1914 წელს დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა, არც ალექსის აუარა გვერდი იმ მიზეზით, რომ იგი ჯერ არ იყო ნაკურთხი მონოზვნად. გლინის

უდაბნოს ხხვა მორჩილებთან ერთად ალექსი სამშობლოს დასაცავად წავიდა.

მორჩილები ეამბორნენ ღვთისმშობლის შობის სასწაულმოქმედ ხატს (გლინის უდაბნოს მონასტერი სწორედ ღვთისმშობლის შობის სადიდებლად იყო დაარსებული) და შესთხოვეს, უვნებლად დაებრუნებინა ისინი მშობლიურ წმინდა სავანეში შემდგომი გმირული თავდადებისთვის ღმრთის მორჩილების გზაზე. მორჩილებმა მიიღეს წინამძღვრის კურთხევა და მასაც შესთხოვეს, ელოცა ღვთის წინაშე მათი მშვიდობით დაბრუნებისთვის.

საომარი მოქმედებების დროს დასავლეთ ფრონტზე ისინი ტყვედ აიყვანეს, შემდეგ კი გადაიყვანეს ავსტრიაში. აქ ალექსიმ დაჰყო სამი წელი.

ბერი ანდრონიკე მოგვიანებით იგონებდა, თუ როგორ უნდოდა სექტანტი ბაპტისტების ჯგუფს, მოექციათ იგი თავიანთ რწმენაზე. ბაპტისტები დღითიდღე ზრდიდნენ თავიანთ შტატს, ცდილობდნენ, ალექსიც მოექციათ თავიანთ ბადეში, მაგრამ იგი უარს ეუბნებოდა შემოთავაზებებზე. ბოლოს მრისხანედ შესძახა: წყეულიც იყავით თქვენ და თქვენი ღვთისმგმობელი ხროვა! თავი დამანებეთ! ასე მოიცილა ბაპტისტების ჯგუფი ალექსიმ.

სამუშაოდ დადიოდნენ ორგანიზებულად, თხრიდნენ ორმოებს წყალგაყვანილობისთვის. შრომას მიჩვეული ალექსი დიდი მონდომებით მუშაობდა, რითაც ზედამხედველების ყურადღება მიიქცია. ისინი სიგარეტებს სთავაზობდნენ და როდესაც უარს იღებდნენ, ძალიან უკვირდათ და მაშინ ზედმეტ პურს აძლევდნენ.

1918 წელს ალექსი ტყვეობიდან განთავისუფლდა და დაბრუნდა გლინის უდაბნოში. ბერი იგონებდა: ძალიან დაუძლურებული ვიყავით, აღარც გვეგონა, რომ ცოცხლები გადავრჩებოდით, მაგრამ ღმრთისადმი სასოებით, რომელიც ყველანაირ ჭირში გვანუგეშებს, გადავრჩითო.

წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ნექტარმა ალექსის მისცა ქალაქ პუტივლის მონასტრის წისქვილზე ამწონად მუშაობის მორჩილება, რომელიც სავანიდან 38 ვერსზე იმყოფებოდა. მორჩილი ალექსი ძალიან ეხმარებოდა მათხოვრებს და საერთოდ ყველას, ვინც კი შველას სთხოვდა. თავისი გულმოწყალების გამო იგი ყველას მიმართ თანაგრძნობით იყო განწყობილი.

იმავე 1918 წელს მორჩილი ალექსი წმინდა სავანეში ბერად აღკვეცეს და ანდრონიკე დაარქვეს. იგი აგრძელებდა მორჩილების შესრულებას წისქვილში, მდინარე სეიმაზე. სწორედ აქ იყო სანყისი მაღალსულიერი ცხოვრების ღვაწლისა.

თავის მორჩილების შესასრულებლად ის მზის ამოსვლისთანავე მიდიოდა და მას დიდი გულმოდგინებით, დაუზარლად, მონდომებით და სწრაფად ასრულებდა, რადგან ბუნებით ფრიად ენერგიული იყო. მთელ ღამეს მამა ანდრონიკე ლოცვაში ატარებდა. ჭამა-სმაში თავშეკავებული იყო. ნივთებიც ცოტა ჰქონდა, მხოლოდ ის, რაც აუცილებელი იყო და არა ზედმეტი: საეკლესიო და სამუშაო ტანსაცმელი, მაგარი საწოლი, რომელზეც ცოტა ხნით მიწვებოდა ხოლმე.

წისქვილში ალექსის დიდხანს ყოფნა არ მოუწია. მას სხვა ღვაწლი ელოდა. 1922 წელს სავანე დაიხურა და მამა ანდრონიკეს ერში ცხოვრება მოუწია. იგი ძალიან შორს იყო ამ წესით ცხოვრებისა და თანამედროვე ადამიანებისგან. იგი რჩება ქალაქ პუტივილში, სადაც იშოვა ბინა. დედამ სთხოვა, რომ მას თავისთან წაეყვანა იგი. ამ დროს მამა უკვე გარდაცვლილი იყო. უფროსი შვილი იოანე უხეშად ეპყრობოდა დედას. მამა ანდრონიკე დათანხმდა თავისთან დაეტოვებინა იგი. მოხუცმა დედამ სულ ორი წელი იცხოვრა მასთან.

1925 წელს კურსკის ეპისკოპოსმა პავლინემ მონაზონი ანდრონიკე წაიყვანა თავის მესენაკედ. მამა ანდრონიკე, უფლის ნებით და მისი განგებით, მზად იყო ნებისმიერი კურთხევისთვის.

სიბრალულითა და ძალდატანებით გამოემშვიდობა იგი დედას, რომელიც თავის ძმას, იოანეს მიუყვანა. ნაღვლიანად დატოვა დედა ძმასთან, რადგან იცოდა, რომ მას იოანესთან დალხენილი ცხოვრება არ ელოდა. მან სთხოვა ძმას, რომ შესაფერისი პატივისცემით მოქცეოდა დედას. შემდეგ დაბრუნდა კურსკში ეპისკოპოს პავლინეს განკარგულებაში და შეუდგა თავის ახალ მორჩილებას - მესენაკეობას.

ბერი ყვებოდა, რომ დასაწყისში მას არ უნდოდა ეპისკოპოსთან ყოფნა: ეშინოდა მაღალი იერარქიის ადამიანების, ეშინოდა სიმდიდრის. მაგრამ, საბედნიეროდ, ეპისკოპოსი პავლინე ძალიან მორიდებული იყო და გამოირჩეოდა ასკეტური ცხოვრებით, რაც ძალზე სასიამოვნო იყო მამა ანდრონიკესთვის. მეუფე პავლინე ხედავდა მამა ანდრონიკეში გულწრფელ, უპატიოსნეს და თავდადებულ შვილს, რომელიც მასთან ასრულებდა არა მარტო მესენაკის მოვალეობებს,

არამედ ტაძარშიც მისი უსამღვდელოესობის მსახურებაში მონაწილეობდა. ეპისკოპოსმა პავლინემ აუცილებლობად ჩათვალა მამა ანდრონიკეს ბერდიაკვნად კურთხევა. ბერი კი თავის თავს უღირსად თვლიდა ამ წმინდა წოდებისთვის და ეშურებოდა მეუფეს, არ ეკურთხებინა იგი, რაზეც ბრძენი ეპისკოპოსი პასუხობდა: მსახურებებისთვის კი არ მინდა, რომ გაკურთხო, შენ ჩემი მესენაკე და ჰიპოდიაკონი ხარ. მაგრამ მე მჭირდება რაიმეს დადება ან აღება წმ. ტრაპეზიდან, მიტრის ან პანაღიის - აი, რისთვის უნდა გაკურთხო შენ. და 1926 წელს ბერი ანდრონიკე აკურთხეს ბერდიაკვნად.

მალევე, 1927 წელს, მისი ყოვლადუსამღვდელოესობა ეპისკოპოსი პავლინე განაწესეს ქ. პერმში, სადაც იგი გაეგზავნა მამა ანდრონიკესთან ერთად. იქ მადლმოსილი, მშრომელი მოსაგრე კეთილსინდისიერად ასრულებდა მესენაკის მორჩილებას და თავის პირად მოსაგრე ცხოვრებაში სულ უფრო მეტ სათნოებას იხვეჭდა.

ეპისკოპოს პავლინეს თავის საქმიანობებზე გამგზავრებისას მამა ანდრონიკე ყოველთვის თან დაჰყავდა. ერთხელ მეუფე გამოიძახეს მოსკოვში, სადაც მას მამა ანდრონიკეც ახლდა. ეს იყო 1928 წელს და მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ მთავარეპისკოპოსმა პავლინემ (+1939 წ. აღესრულა) მოსკოვში შეასრულა ხელდასხმა და აკურთხა მამა ანდრონიკე მღვდელმონაზვნად, რასაც თვითონ მამა ანდრონიკე ძალზე ეწინააღმდეგებოდა, თავს ფრიად უღირსად თვლიდა ასეთი წოდებისთვის.

მალევე, ავადმყოფობის მიზეზით პერმში დაბრუნებისას, მამა ანდრონიკემ მიიღო ყველაზე დიდი ჯილდო ბერობის ცხოვრების ანგელოზებრივი სახისა - დიდი სქემა, იმავე სახელით, ანდრონიკე.

იმ წლებში მღვდელმსახურები განიცდიდნენ დიდ შევიწროებას: დაპატიმრება, გადასახლება ჩვეულებრივი ამბავი იყო. მამა ანდრონიკე გადაასახლეს ციმბირში. ერთხელ ბანაკში ჩამოიყვანეს მთავარეპისკოპოსი ნაზარი, ცოცხალ-მკვდარი, რომელიც მალევე აღესრულა. მამა ანდრონიკე სანიტრად მუშაობდა. მან თავის თავზე აიღო მთავარეპისკოპოსის დაკრძალვა, წესიც აუგო და მიწასაც მიაბარა, შემდგომ კი შეატყობინა თავის ეპისკოპოს პავლინეს, რომელმაც მიტროპოლიტ სერგის აუწყა ეს ამბავი. მიტროპოლიტი სერგი ქორეპისკოპოსი იყო და პატრიარქის მოვალეობებსაც

ასრულებდა. მან, როგორც რუსეთის ეკლესიის მწყემსმთავარმა, დააჯილდოვა მღვდელ-მონაზონი ანდრონიკე სამკერდე ჯვრით.

1940 წელს ბანაკის უფროსმა აიყვანა მამა ანდრონიკე თავისთან მოჯამაგირედ. ამ ოჯახში მამა ანდრონიკე ღვიძლი ნათესავივით იყო. მას დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდნენ. მამა ანდრონიკე ამზადებდა სადილს, უვლიდა ბოსტანს და საქონელს. სახლის პატრონებმა მამა ანდრონიკეს გამოუყვეს ცალკე ოთახი, მაგრამ მან უარი თქვა, მიუხედავად ხვეწნა-მუდარისა და საცხოვრებლად ფარდული აირჩია. გადაღობა პატარა ადგილი საქონლის სადგომისგან, რათა ცოტაოდენ ხანს დაესვენა იმ მრავალგვარი შრომისგან, რომელსაც ეწეოდა. მხოლოდ ღმერთი იყო იმ ღვაწლის მოწმე, რასაც ბერი ამ ფარდულში აღასრულებდა.

მამა ანდრონიკეს ჰქონდა წირვა-ლოცვაზე თავისუფალი დასწრების უფლება ქალაქ ნოვოსიბირსკში. ერთხელაც ტაძარში მან შეიტყო (ადგილობრივი დედებისგან), რომ გლინის უდაბნო კვლავ ამოქმედდა. მას უჩვენეს არქიმანდრიტ სერაფიმეს (ამელინი) ფოტოსურათი (არქიმანდრიტი სერაფიმე იყო წინამძღვარი 1944 წლიდან 1958 წლამდე. ამ წელს იგი აღესრულა). მამა ანდრონიკემ სთხოვა თავის უფროსს, გაეშვა იგი გლინის სავანეში. პატრონს არ უნდოდა მისი გაშვება, რადგან ძალიან იყო მასზე მიჯაჭვული. მაგრამ, დაჟინებითი თხოვნის შემდეგ იგი იძულებული გახდა, დათანხმებოდა. მან სთხოვა მამა ანდრონიკეს, შეეტყობინებინა მისთვის, თუ რამეში გაუჭირდებოდა. თუ ცუდად იქნებით, ჩამობრძანდით ჩემთან, როგორც შვილთან, - უთხრა მან ბოლოს.

1948 წელს მადლმოსილი მოსაგრე სქემოსანი მღვდელ-მონაზონი ანდრონიკე დაბრუნდა მშობლიურ, მისთვის საყვარელ წმინდა სავანეში, თავის სულიერ სამშობლოში, რომელმაც საფუძველი დაუდო და ააღორძინა მისი სულიერი ღვაწლი, მრავალმხრივი გამოცდილება მისცა სულიერ ცხოვრებაში. მას ძალზე თბილად შეხვდნენ, რამაც იგი უზომოდ გაახარა. მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი სერაფიმე ძმური სიყვარულით გადაეხვია მას. მალევე მამა ანდრონიკე დანიშნეს წმინდა სავანის ბლაღოჩინად. ისევე,როგორც ადრე, დიდი სულიერი შემართებითა და სიხარულით შეუდგა მამა ანდრონიკე თავისი მორჩილების შესრულებას. იგი ძმებს დიდი სიყვარულით ეპყრობოდა. მთელი საძმო ხედავდა მასში ჯრა

მხოლოდ ხელმძღვანელს მორჩილების შესრულებაში, არამედ ბრძენ, გამოცდილ სულიერ მოძღვარს. მას მიმართავდნენ რჩევისთვის ნებისმიერ საკითხზე, აგრეთვე ცდილობდნენ მოხვედრილიყვნენ მასთან აღსარებაზე.

ბლაღოჩინის მოვალეობების შესრულების დროს იგი თვითონ აგროვებდა ძმებს საერთო მორჩილების შესასრულებლად - ტყეში შეშის საჭრელად, ბოსტნის გასაშენებლად, მონასტრის სათიბში. ამ საქმიანობაში აგრეთვე ჩამოსული მომლოცველებიც მონაწილეობდნენ, რომლებიც დიდი მონდომებით ასრულებდნენ მონასტრის საერთო მორჩილებას, რომელსაც ყოველთვის სტარეცი ანდრონიკე ხელმძღვანელობდა. მასთან ერთად თავს ყველა ყოველთვის მსუბუქად, მხიარულად და სასიამოვნოდ გრძნობდა. ბლაღოჩინის მოვალეობის გარდა იგი შესამოსელის მომწესრიგებლის მოვალეობას ასრულებდა. იგი ამზადებდა შესამოსელის კომპლექტებს წირვაში მონაწილე მღვდელმსახურთათვის, ხოლო წირვის შემდგომ ამ შესამოსელს ალაგებდა და ინახავდა. დიდი დღესასწაულების წინ მამა ანდრონიკე თვითონ რთავდა ტრაპეზსა და სამკვეთლოს. ეს იყო მისი ყველაზე საყვარელი საქმიანობა. ყველაფერს ამას აკეთებდა ზედმიწევნით სუფთად და ლამაზად.

მონასტერში ცხოვრებისას ეს მოსაგრე სულ უფრო და უფრო იმსახურებდა ძმების ღრმა პატივისცემას და მოკრძალებას. მაგალითად, არქიმანდრიტმა ათანასემ, რომელიც ადრე ათონზე მოღვაწეობდა და სხვადასხვა სათნოებებით და მადლმოსილებით გამოირჩეოდა, ხანდაზმულ ასაკში მყოფმა მოისურვა მიეღო ბერული ცხოვრების უმაღლესი ანგელოზებრივი სახე - სქემა. ამ წესის აღსრულება და შესაბამისად სულიერი მამობაც მამა ანდრონიკეს სთხოვა.

მამა ანდრონიკე თავისი თავმდაბლობის გამო უარს ეუბნებოდა ბერს ასეთ შემოთავაზებაზე იმის გამო, რომ მონასტერში ასაკითაც და წოდებითაც მასზე უფროსი ბერები იყვნენ. მაგრამ არქიმანდრიტი ათანასე ისე დაჟინებით სთხოვდა მამა ანდრონიკეს, რომ მან ბოლოს უარი ვეღარ უთხრა. მადლმოსილმა ბერმა, არქიმანდრიტმა ათანასემ, თვითონ ამოირჩია მამა ანდრონიკე, რადგან მასში ხედავდა ყველაზე ღირსეულს, ვისთვისაც შეეძლო საკუთარი თავი მიენდო. მამა ანდრონიკემ აღასრულა წესი და იგი სქემარქიმანდრიტ ათანასეს სულიერი მამა-მოძღვარი გახდა. ეს მოხდა დიდ მარხვაში.

აღდგომის წმინდა დღესასწაულის მომდევნო დღეს ყოველთვის წინამძღვარი წირავდა, ხოლო მეორე დღეს კი - რომელიმე წოდებით უპირატესი მღვდელმსახური. ამ წირვას აღავლენდა ხოლმე სქიარქიმანდრიტი მამა ათანასე, რადგან სხვა არქიმანდრიტი არ იყო. არქიმანდრიტს რამდენიმე ბერმონაზონიც ეხმარებოდა. წმინდა ლიტურგიის დამთავრებისას ბერი თანასე ცუდად გახდა და პირდაპირ ტრაპეზთან დაეცა. იგი აიყვანეს და გაჭირვებით თავის სენაკში ამიყვანეს, სადაც წყნარად და მშვიდობიანად აღესრულა. მონასტრის ძმებს შორის ბევრი ბერი ღრმად მოხუცი იყო. ბევრი მათგანი მღვდელმონაზონი იყო. თუ რომელიმე მათგანი იგრძნობდა თავისი უკანასკნელი წუთების მოახლოებას მარადისობაში გადასასვლელად, ბერი ანდრონიკეს მოყვანას ჩქარობდა თავისთან, რომელიც მიიღებდა მისგან ბოლო აღსარებას და აზიარებდა წმინდა საიდუმლოებას, ქრისტეს სისხლსა და ხორცს. თავის მხრივ, მამა ანდრონიკეც ჩქარობდა მოენახულებინა ავადმყოფი. მომაკვდავს ის თვითონ ბანდა, სცხებდა ზეთს, აცმევდა და კუბოში აწვენდა, მერე კი პანაშვიდს უხდიდა პირდაპირ კელიაში. შემდეგ უკვე ცხედარს შეაბრძანებდნენ ტაძარში.

ერთი მოხუცი ბერი, სიმეონიც სთხოვდა მამა ანდრონიკეს, ეკურთხებინა იგი სქემაში. ბერმა შეუსრულა თხოვნა და აკურთხა იგი სახელით სერგი. ცოტა ხნის შემდეგ ახლადნაკურთხს დამბლა დაეცა და ენა წაერთვა. მამა ანდრონიკე მივიდა მასთან ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესასრულებლად. ამ საიდუმლოს შესრულების დროს ავადმყოფს აღუდგა მეტყველება, მან შეძლო აღსარების თქმა და მამა ანდრონიკემ იგი აზიარა, მერე კი ისევ წაერთვა ენა და ცოტა ხანში გარდაიცვალა.

მამა ანდრონიკემ შეძლო მიეღწია სრულყოფილი სიყვარულისთვის და ცათა სასუფეველი უკვე მასში იყო. იგი მუდამ სასუფევლისთვის იღვწოდა და ამიტომ ყოველთვის ენთო ყველასადმი არაჩვეულებრივი სიბრალულით.

მამა ანდრონიკეს ლოცვით მონასტერში ბევრი გასაოცარი შემთხვევა ხდებოდა. ერთხელ ერთი მორჩილი, სახელად სერგი ავად გახდა ფილტვების კრუპოზული ანთებით. ავადმყოფობა პროგრესირებდა. ექიმის ჩარევამ არ უშველა და უკვე სიკვდილს ელოდებოდნენ. გადაწყვიტეს მორჩილი სერგის ზეთი ეცხოთ და

ეზიარებინათ, რათა მოემზადებინათ სიკვდილისთვის. მამა ანდრონიკემ აღასრულა ზეთისცხების საიდუმლო და აზიარა მორჩილი. როგორც კი ლოცვა დაამთავრა, მორჩილი უკეთ გახდა და მესამე დღეს სრულიად გამოჯანმრთელდა. ასეთი შემთხვევები ბევრი იყო.

ერთხელ თვითონ მამა ანდრონიკე გახდა ავად, ტვინში სისხლის ჩაქცევა დაემართა. ავადმყოფობა მძიმედ მიმდინარეობდა და გამოჯანმრთელებაზე აღარ ფიქრობდნენ. მას ზეთისცხება ჩაუტარეს და აზიარეს ქრისტესწმინდა სისხლს და ხორცს. ასეთ მდგომარეობაში იგი სამი დღე იყო და ლუკმა არ ჩასვლია პირში. ამავე დროს ერთი მონაზონი ადრიანე, რომელიც მორჩილებას ბოსელში ასრულებდა, უეცრად გახდა ავად და სამ საათში აღესრულა. ეს ამბავი მამა ანდრონიკეს მისმა მესენაკემ უამბო, რაზეც ბერმა უპასუხა: ღმერთმა ანგელოზი მოავლინა ჩემი სულის მისაღებად, მაგრამ გზად სხვაზე მიუთითა, რომ მე კიდევ ვიცოცხლო სხვების მსახურებისთვის. ამ სიტყვების შემდეგ მოძღვარმა წყალი მოითხოვა და გამოკეთდა, ხოლო მერე კი სრულიად გამოჯანმრთელდა.

თავისი მრავალწლიანი მოსაგრეობით მამა ანდრონიკეს ჩამოუყალიბდა ნათელი, კეთილმოშურნე, შორსმჭვრეტელი აზრი ცხოვრებაზე. იგი ჭვრეტდა ადამიანის ყოველგვარ უძლურებას და უდიდესი შემწყნარებელი სიყვარულით იყო აღვსილი ყველას მიმართ: მისთვის ერთნაირად ძვირფასი იყო მდიდარი და ღარიბი, ცნობილი და უბრალო, რამეთუ იგი აფასებდა მათ არა გარეგნული მხარით, არამედ ჭვრეტდა მათ შინაგან მდგომარეობას.

საოცარ ზემოქმედებას ახდენდა მნახველზე მამა ანდრონიკეს ღარიბი სენაკი, რომელიც გაჟღენთილი იყო ზეციური მშვიდობის, რწმენისა და სიყვარულის სულით. შემსვლელი აღელვებული, გაღიზიანებული, დაღლილი, რომ ყოფილიყო ეს ყველაფერი წამში მოეხსნებოდა ბერის წყალობა, სიმშვიდისმომგვრელი საუბრით. თვით სენაკის მოწყობილობა: ხატები, კანდელის ციმციმი, სურათები და პორტრეტები - ყველაფერი ეს კურნებას ანიჭებდა სულს.

მამა ანდრონიკეს მეტყველება იყო უბრალო, გასაგები, ცოცხალი, გულითადი და მიმზიდველი. როდესაც უსმენდი, აღარ გინდოდა მასთან განშორება, წამოსვლა. თითოეული მისი

სიტყვა ღრმად იბეჭდებოდა სულში და იქ წარუშლელ კვალს ტოვებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოხუცი ბუნებით დაჯილდოვებული იყო არაჩვეულებრივი კრძალულებით და მორჩილებით. მღვდელმთავრებს იგი პატივს მიაგებდა, როგორც თვით ქრისტეს და როდესაც ეპისკოპოსები ეწვეოდნენ ხოლმე გლინის უდაბნოს, მამა ანდრონიკე თვით ემსახურებოდა მათ: ასადილებდა, ანთებდა ღუმელს, ურეცხავდა იატაკს. იგი მსახურებდა მათ, როგორც მორჩილი. ხანდახან ეპისკოპოსები უფრო ახალგაზრდა ბერებს სთხოვდნენ მათ მომსახურებას, მაგრამ მამა ანდრონიკე ამ მორჩილებას არავის უთმობდა. მისი ასეთი მორჩილება რომ ნახა ეპისკოპოსმა ევსტრატიმ (ეპისკოპოსი ევსტრატი მართავდა სუმის ეპარქიას 1951-1958 წლებში; 1972 წელს აღესრულა და ბოლო დრომდე ჰქონდა მიმოწერა მამა ანდრონიკესთან), ძალიან შეიყვარა ბერი და მიანიჭა იღუმენის წოდება, თუმცა მამა ანდრონიკე უარზე იყო და ამბობდა: სქემა ყველა ჯილდოზე უმაღლესია, ის არის ჯილდოების ზღვარი.

ერთხელ მამა ანდრონიკე მონასტრის წინამძღვარმა გაგზავნა ეპარქიაში დავალებით (ეს იყო მამა ანდრონიკეს მონასტრიდან გასვლის ერთადერთი შემთხვევა. იგი ყოველთვის თავიდან იცილებდა მონასტერთან განშორებას და ამბობდა, რომ ბერი, რომელიც თუნდაც ცოტა ხნით გავა მონასტრიდან, უკვე აღარ დაბრუნდება ისეთი, როგორიც წავიდა). იგი გაემგზავრა თავის მესენაკესთან, ბერდიაკონ პავლინესთან ერთად.

მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ ევსტრატიმ თავაზიანად და სათანადო პატივისცემით მიიღო ბერი. ეპარქიიდან თავის სახლში მიიპატიჟა, სადაც მათ ერთად იტრაპეზეს და დიდხანს ისაუბრეს. საუბრის ბოლოს ეპისკოპოსმა ევსტრატიმ მიმართა მას თხოვნით: მე როგორც მეუფე, გთხოვთ მომცეთ თქვენი მამობრივი კურთხევა და გადამსახოთ ჯვარი ისე, როგორც აკურთხევთ ყველას. ბერი დიდ უარზე იყო, მაგრამ მისი ყოვლადუსამღვდელოესობის დაჟინებული თხოვნით, მან აკურთხა მეუფე და მეუფე მას ხელზე ეამბორა.

ამ საქციელმა მეუფის დიდი თავმდაბლობა გამოაჩინა, რომელმაც ამ მომენტში არ უბრძანა მამა ანდრონიკეს მესენაკეს, მამა პავლინეს,ოთახიდან გასვლა. ამის მომსწრე, მთავარდიაკვანი დიდმა შიშმა და აღელვებამ შეიპყრო. იგი

ტიროდა. დამშვიდობებისას მეუფემ სთხოვა მამა ანდრონიკეს, ძილად მისვლისას ჯვარი მის მხარეს გადაესახა ხოლმე.

ძალიან ხშირად მამა ანდრონიკე ამახვილებდა ყურადღებას მორჩილებისა და სიმდაბლის სათნოებაზე და ამბობდა: სიმდაბლით შეიძლება ყველა ცოდვა გამოისყიდო უფლისგან, რამეთუ სიმდაბლეშია ადამიანის სიხარული. თავმდაბლობა გვაცოცხლებს და აღავსებს სულს საოცარი სიმშვიდით და უშფოთველლობით. თავმდაბლობის გარეშე ვერ შეასრულებ უფლის ვერც ერთ მცნებას, ასევე მონაზვნულ აღთქმებს, ვერ მოიხვეჭ ვერცერთ სათნოებას, რადგან თავმდაბლობის გარეშე შეუძლებელია რომელიმე სათნოების შესრულება. იმის მიხედვით, თუ რამდენად თავმდაბალია ადამიანი, იგი იღებს ღმრთისგან შემწეობას და ამდენად, აღწევს წარმატებას სათნოებების შეძენაში. წმინდანები პირველ რიგში თავის დამდაბლებას, გონების დამორჩილებას ცდილობდნენ, ყველას წინაშე თავს იდრეკდნენ, რათა უფალთან შეერთებულიყვნენ და არავის ურისხდებოდნენ, არ დრტვინვიდნენ და ამით ღმრთის წყალობას იხვეჭდნენ, რომელიც ყველანაირ ცდუნებას ააშორებდა მათ. როდესაც მათ მწუხარება ეწვეოდა, საკუთარი თავის კიცხვას იწყებდნენ და თვლიდნენ, რომ უფრო დიდი სასჯელის ღირსნი არიან და ამით სიმშვიდეს მოიპოვებდნენ, რადგან მორჩილებით მტრისა და მაცდურის ყველანაირი ძალა ითრგუნება, ბრძნული მორჩილება აცილებს ადამიანს ყოველგვარ უბედურებას და შემძლებელია შეიყვანოს იგი ღმრთის სასუფეველში. იმის მიხედვით, თუ რამდენად თავმდაბალია ადამიანი და რამდენად თვლის საკუთარ თავს ყველაზე ცოდვილად და უღირსად, მით უფრო დიდ შემწეობას იღებს უფლისგან და წარემატება.

წმინდა მოსაგრეებმა იცოდნენ, რომ თავმდაბლობის გარეშე შეუძლებელია გადარჩენა და თავმდაბლობის გარეშე შეუძლებელია რომელიმე სათნოების შესრულება ღმრთის სადიდებლად. რამეთუ უფალმა სთქვა: რომელსა მივხედე – მხოლოდ მორჩილსა და მდუმარეს და ვისაც ათრთოლებს ჩემი სიტყვა.

თავმდაბლობა მტრის ყველანაირ მახეს აგაცილებს. იგი ცოდვით დაცემის უფლებას არ აძლევს ადამიანს და პირიქით, დაცემულის აღდგინების ძალა აქვს. ეს არის იარაღი, რომელიც ამოძირკვავს ჩვენს ყველა ღვარძლს მეუფე ქრისტეს ყანიდან,

ე.ი. დაფარავს ყველა ჩვენს ცოდვას, უფლისგან გამოითხოვს მოწყალებას და გაგვიღებს სამოთხის კარს. ჩვენთვის კი, სიამაყით შეპყრობილებისთვის, მხოლოდ თვითმხილება არ არის საკმარისი, არამედ საჭიროა შევასრულოთ ჩვენთვის დამამცირებელი საქმეები, უნდა შევასრულოთ სხვისი ბრძანებები და უდრტვინველად მივიღოთ გარშემომყოფთა მხრიდან წყენა და შეურაცხყოფა. მაგრამ ვისაც უნდა თავმდაბლობის მიღწევა და პატარა შეურაცხყოფასაც არ პატიობს სხვას, იგი ვერ მიაღწევს ამ სათნოებას. როდესაც თავმდაბლობა არ გაგვაჩნია, მაშინ ყველა ჩვენი კეთილი საქმე, რომლითაც უნდა სათნო ვეყოთ ღმერთს, ამაოა და ფუჭი. რადგან კეთილი საქმეები თავმდაბლობის გარეშე ჰგავს მტვერს, რომელიც იმ წამსვე გაიფანტება, როგორც კი სიამაყის სული შებერავს. უნდა ვიცოდეთ, რომ ისე არაფრისგან არ არის შეწუხებული სატანა და ისე არ განიგდება და განიარაღდება, როგორც იმით, რომ ადამიანს უყვარს მორჩილება, შეურაცხ-ყოფის ატანა. ამ უმშვენიერესი სათნოების - თავმდაბლობის მთავარი დაუმარცხებელი თვისება არის შეურაცხყოფის სიყვარულით მიღება, როდესაც სული იღებს შეურაცხყოფას გაშლილი ხელებით და იხუტებს, როგორც ძვირფას დამამშვიდებელ წამალს, რომელიც წვავს სულის სნეულებებს და უდიდეს ცოდვებს. თავმდაბლობა მორჩილებასთან ერთად არის ჭეშმარიტი გამართლება ღმრთის წინაშე, სიკვდილის წინაშე კადნიერება და მთლიანი დაკმაყოფილება სულისა, რომელიც უკვე სიცოცხლეშივე იგემებს სამოთხის სიხარულს, რომელიც უკვე აღდგა მარადიული ნეტარებისთვის.

ერთხელ წმინდა სავანეს ეწვია ეპისკოპოსი იოასაფი (მისი ყოვლადუსამღვდელოესობა იოასაფი მართავდა სუმის ეპარქიას 1958-59 წლებში. შემდგომში იყო კიევის მიტროპო-ლიტი, უკრაინის ეგზარხოსი, 1966 წელს აღესრულა). მონასტრის უფროსობასთან საუბარში, სადაც ბერი ანდრონიკეც ესწრებოდა (იგი იყო მონასტრის ბერების საბჭოს წევრი), ეპისკოპოსმა გასცა განკარგულება, არ გაეცათ სადილი მომლოცველებისთვის მონასტრის სამზარეულოდან (მონასტერში მიღებული იყო საერთო ტრაპეზი, მომლოცვე-ლები უფასოდ რჩებოდნენ სასტუმროში, უფასოდ ეძლეოდათ პურიც). ბერებმა უკმაყოფილობის მიუხედავად გადაწყვიტეს, შეესრულებინათ ეპისკოპოსის განკარგულება. ბერი ანდრონიკე

დიდხანს სდუმდა. როგორც წესი, ასეთ კრებებზე იგი მდუმარებაში იყო და ყველაფერში ეთანხმებოდა მონასტრის ხელმძღვანელობას. ახლა კი მის სულში სხვა რამ დატრიალდა. იგი გამოვიდა ეპისკოპოსის წინადადების წინააღმდეგ და განმარტა, რომ არა ძმები აჭმევენ მომლოცველებს, არამედ მომლოცველები აჭმევენ ბერებს. მომლოცველები ჭამენ თავისას და არა ჩვენსას,- თქვა მამა ანდრონიკემ,- რამეთუ ისინი აგზავნიან და ჩამოაქვთ აქ ყველაფერი. მთელმა საძმომ მამა ანდრონიკეს დაუჭირა მხარი. ამის შემდგომ საერთო ტრაპეზი ისევ გაგრძელდა.

მამა ანდრონიკე სიყვარულით ღებულობდა მონაწილეობას მონასტრის ყველა მორჩილებაში.

დღესასწაულებზე წირვის და ტრაპეზის შემდეგ იგი არ ისვენებდა, არამედ კითხულობდა სახარების რამდენიმე თავს, რაც ძლიერ უყვარდა, კითხულობდა დაუჯდომლებს და შემდეგ მიდიოდა სამზარეულოში კარტოფილის სათლელად საერთო ტრაპეზისთვის. ერთ-ერთ ძმას იგი აკითხებდა რომელიმე წმინდანის ცხოვრებას, რომ უქმისმეტყველებაში არ ჩავარდნილიყვნენ და საძმო დამოძღვრილიყო ღმრთის სიტყვით. ის საპირფარეშოსაც კი ხეხავდა, როცა ეს საჭირო იყო. მამა ანდრონიკე არ უკადრისობდა არც ერთი მძიმე მორჩილების შესრულებას და იყო ზედმიწევნით სუფთა და აკურატული. ყველა მორჩილების შესრულებისას პირველი იყო.

ბოლო დროს წმინდა სავანეში შემდეგი ტიპიკონი იყო: ღვთისმსახურება იწყებოდა დილის 4 საათზე, სადაც ჯერ დილის ლოცვები იკითხებოდა შემდეგ - შუაღამის, მის დამთავრების შემდეგ კი - ცისკარი. ცისკარს პატარა შესვენების შემდეგ წირვა ებმოდა. მერე კი ტრაპეზი იყო, რომლის დასრულების შემდეგ ძმები სხვადასხვა მორჩილების შესრულებას იწყებდნენ. ვინც სამზარეულოში ასრულებდა მორჩილებას, ის რამდენადმე ადრე მიდიოდა და მიჰქონდა ცეცხლი ღვთისმშობლის სასნაულმოქმედი ხატის წინ დანთებული კანდელიდან და აძლევდა მზარეულს, რომელიც ამ ცეცხლით ანთებდა ღუმელს.

მწუხრი იწყებოდა 5 საათზე. მწუხრის დამთავრების შემდეგ იყო შესვენება, რომლის დროსაც ზოგიერთი ბერი იღებდა საკვებს ძალის აღსადგენად. შემდეგ იწყებოდა კანონების კითხვა: მაცხოვრის, ღმრთისმშობლისა, მფარველი ანგელოზის. შემდეგ იწყებოდა ძილად მისვლის ლოცვების კითხვა, რომლის

დამთავრებისას ეამბორებოდნენ ჯვარს, ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს და თავიანთ კელიებში მიდიოდნენ, სადაც უკვე მარტოობაში აგრძელებდნენ ლოცვას.

მომლოცველებთან შეხვედრები და კითხვა-პასუხები იკრძალებოდა იმ ხანებში. მამა ანდრონიკე კი მომლოცველთათვის კურთხევის მიცემასაც კი თავს არიდებდა იმის შიშით, რომ მას კითხვები და საუბრები არ მოჰყოლოდა. ტაძრიდან იგი სწრაფად მიდიოდა და ყველას, ვინც კი ცდილობდა მის შეჩერებას და კურთხევის აღებას, ეუბნებოდა: ღმერთი ყველას გაკურთხებთ. თავის სულიერ შვილებს კი ნებისმიერ დროს იღებდა და ყურადღებიანი იყო თვითოეულისადმი.

თავის კელიაში მამა ანდრონიკე იწყებდა კითხვას: 5 თავი სახარებიდან, სკვნილის 1 წრე 30 მეტანიით, შემდეგ - ცალკეული მეტანიები (ეს მოტანილია მამა ანდრონიკეს ხელნაწერიდან, რომელიც შემთხვევით იპოვეს): მაცხოვრის, ღმრთისმშობლის, მფარველი ანგელოზის, მთავარანგელოზი მიქაელის, იოანე ნათლისმცემლის, იოანე ღმრთისმეტყველის, წმ. მოციქული ანდრონიკეს, პეტრე და პავლე მოციქულების, ანდრია პირველწოდებულის, ლუკა, მარკოზ და მათე მახარებლების, ელია და მოსე წინასწარმეტყველთა, წმ. იოაკიმესა და ანას, მართლი ზაქარიასა და ელისაბედის სიმეონ მიმრქმელისა და ანა წინასწარმეტყველის მღვდელმთავრების: ბასილი დიდის, გრიგოლ ღმრთისმეტყველის, იოანე ოქროპირის, ნიკოლოზის, ალექსის, თეოდოსის, იოასაფის, გერმოგენის, პეტრეს, არსენის, სტეფანეს; დიდმოწამეების: პანტელეიმონის, გიორგის, იოანე-მეომრის, დემეტრე თესალონიკელის, ნესტორის, გურის, სამონისა და აბიბოს, ბარბარეს, ეკატერინეს, აკილინეს, ტატიანას, ვერას, ნადეჟდას, ლუბოვის, სოფიოსა და პარასკევას; მოციქულთასწორთა ნინოს, მარიამ მაგდალინელისა და თეკლას; ღირსი მარიამ ეგვიპტელის, მოწამე თომაიდას, ღირსი სერაფიმე საროველისა და ღირსი სერგი რადონეჟელის, ღირსი იოანეს, ტიხონ კალუგელის, ათანასე დიდის, პახომი დიდის, ვარლაამის, იოასაფის, ავენირის, ალექსი ღმრთის კაცის, სიმეონ ვერხოტურსკელის, იობ პოჩაეველის, წმინდა კეთილმორწმუნე ალექსანდრე ნეველის, კონსტანტინე დიდისა და ელენე დედოფლის, ვლადიმერის, ღირსი მარტინიანეს, ღირსი იოანე მრავალტანჯულის მიმართ.

ამის შემდეგ მამა ანდრონიკე ასრულებდა მეტანიებს წინამძღვრის, სულიერი შვილების, ახლობლების, გარდაცვლილ ძმათა, მშობლების სახელზე. შემდეგ ცოტა ხნით მიწვებოდა საწოლზე. დგებოდა 2 საათისთვის, შეიძლება უფრო ადრეც და უკვე დილამდე აღარ იძინებდა და ამბობდა: ვტანჯავ ჩემს მტანჯველს და ვქანცავ ჩემს მომქანცველს.

იგი ასრულებდა თავის ხუთასიან კანონს სკვნილზე აუჩქრებლად, მოკრძალებით და ყურადღებით, მეტანიების დართვით, შემდეგ სკვნილზევე იხსენიებდა წმინდანებს და მერე გადადიოდა სახარების კითხვაზე, ფსალმუნებსა და დაუჯდომლებზე. ძალიან უყვარდა ბერს ლოცვანი ყოველთა შვიდეულთა დღეთანის კითხვაც. ეს ლოცვები მას ყველგან თან დაჰქონდა, გადასახლებაშიც და ბანაკებშიც.

ბლაღოჩინის ვალდებულებების შესრულებისას იგი ღამე დადიოდა და ამოწმებდა დარაჯებს. მორჩილებიდან ვინმეს თუ ჩაეძინებოდა, ან ავად გახდებოდა და შუაღამის მსახურებაზე ვერ მივიდოდა, იგი თვითონ აკითხავდა მას კელიაში და ამის მიზეზს არკვევდა.

მამა ანდრონიკე ლოცვა-კურთხევაზე უარს არც ჩამოსულ მომლოცველებს ეუბნებოდა. იგი უნიშნავდა დროს მსახურების შემდეგ ტაძარში. მლოცველები იკრიბებოდნენ და იგი მგზავრობის პარაკლისს იხდიდა. ეს მას ძალიან მოსწონდა, ლოცვით ყოველთვის გულმოდგინებით ლოცულობდა.

ასე მიედინებოდა მისი მადლმოსილი ცხოვრება წმინდა სავანეში. 1961 წელს მონასტერი კვლავ დაიკეტა. ღმრთის ნებით ბერი გამოემგზავრა თბილისში თავის სულიერ ძმასთან, თანამწირველ სქემიღუმენ სერაფიმესთან ერთად, რომელიც სოხუმში დარჩა. მან მამა ანდრონიკესაც შესთავაზა, დარჩენილიყო მასთან, მაგრამ უარი მიიღო. იგი მიიჩქაროდა თავის მესენაკესთან, მღვდელმონაზონ პავლინესთან, რომელიც საქართველოს პატრიარქის ეფრემის განკარგულებაში იყო და ასრულებდა მღვდლის მოვალეობებს დედებთან, რომლებიც სოფელ ახკერპში ცხოვრობდნენ მონაზვნური წესით. ეს სოფელი მდებარეობს თბილისიდან 90 კმ-ის დაშორებით, სომხეთის მიმართულებით. მამა ანდრონიკეს ჩამოსვლით გაიხარა მისმა სულიერმა შვილმა, მღვდელმონაზონმა პავლინემ. გაიხარეს იღუმენია მარიამმა და დედებმაც.

მამაოს ძალიან მოეწონა ეს უკაცრიელი ადგილი, რომელიც მართლაც განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩეოდა. ქოხი, რომელშიც მამა ანდრონიკე დასახლდა, იდგა ხმაურიან მდინარის პირას. გვერდით არაჩვეულებრივი სილამაზის ტყე იყო, სადაც ის ჭვრეტითი, ჩაღრმავებული, ლოცვისთვის განმარტოვდებოდა ხოლმე. ძალზე მოეწონა მას სასაფლაო, სადაც განისვენებდნენ არქიმანდრიტი იესე და მღვდემონაზონი თერაპონტე, რომლებიც თავის დროზე მსახურებდნენ მონასტერში. ბერი ხშირად ეწვეოდა ხოლმე ამ საფლავებს და პანაშვიდებს იხდიდა. უნდოდა, რომ თვითონაც იქ ყოფილიყო დასაფლავებული. ყველაფერი ასე მშვენიერი და მოსახერხებელი ჩანდა მშვიდი მოსაგრე ცხოვრებისთვის ამ წყნარ, ხმაურიანი ქალაქებისგან მოცილებულ კუთხეში. აქ არც მნახველები ანუხებდნენ, რაც ხშირად ამძიმებდა მას და ამბობდა, რომ ადამიანებთან საუბრები ხელს უშლიან ღმერთთან საუბარს.

ასე მშვიდად მიედინებოდა მამა ანდრონიკეს ცხოვრება ამ წყნარ ადგილას ექვსი თვის განმავლობაში. 1961 წლის ბოლოს მრვდელმონაზონი პავლინე განაწესეს დაღესტანში, ქალაქ ხასავიურტში. ბერი არ დარჩა თავისი სულიერი შვილის გარემე სოფელ ახკერპში, მიუხედავად იმისა, რომ მას ძალიან სთხოვდა დარჩენას იღუმენია მარიამი და დები. იგი გაემგზავრა მოღვაწეობის ახალ ადგილას.

აქ მამა ანდრონიკე ყველაფერში ეხმარებოდა თავის სულიერ შვილს.მრავალი მოდიოდა ქალაქიდან რჩევისთვის ბერთან. ისიც ყველას სიხარულით იღებდა და აძლევდა რჩევა-დარიგეგებს, ანუგეშებდა დამწუხრებულებს. ტაძარში მამა ანდრონიკე იღებდა აღსარებებს, მონაწილეობდა ღვთისმსახურებაში, განსაკუთრებით, დღესასწაულებზე, ხანდახან იხდიდა პარაკლისებს და უფლის სადიდებელ გალობებს აღავლენდა მორწმუნეთა თხოვნით.. მამა ანდრონიკე ყველაფრით კმაყოფილი იყო და ყოველთვის მადლობდა უფალს. აქ ცხოვრებაც დიდხანს არ გაგრძელებულა შექმნილი ვითარების გამო. მამა ანდრონიკე აკურთხებს მამა პავლინეს სემინარიაში სასწავლებლად, თვითონ კი თბილისში ჩაყვანას სთხოვს ეპისკოპოსი ზინობის განკარგულებაში, რომელიც ისევე, როგორც მამა ანდრონიკე, გლინის უდაბნოს მონასტრის აღზრდილი იყო.

ძნელი იყო მამა პავლინესთვის სულიერ მამასთან განშორება, უჭირდა თვით ბერსაც, მაგრამ ეს ღმერთის ნება იყო და შესრულდა.

მეუფე ზინობმა სიყვარულით მიიღო მამა ანდრონიკე და თავშესაფარი მისცა თავის ეზოში, ცალკე ქოხში, სადაც სამუდამო განსასვენებელში გადასვლამდე იცხოვრა ბერმა.

მამა ანდრონიკეს განუწყვეტლივ ჰქონდა სიკვდილის ხსოვნა. იგი გამსჭვალული იყო იმ მარადიული ტანჯვის შეგრძნებით, რომელსაც არა აქვს დასასრული, ე.ი. დაუშრეტელი ჯოჯოხეთური ცეცხლისა და დაუსრულებელი მატლის. ამის საშუალებით მამა ანდრონიკე თავს არიდებდა ამ წუთისოფლის სიამტკბილობას და თავს აიძულებდა სრულყოფის მისაღწევად ეღვაწა.

1963 წელს მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ, ეპისკოპოსმა ზინობმა სქიმიღუმენი ანდრონიკეს არქიმანდრიტის წოდებაში აყვანა გადაწყვიტა.

ამ დროისათვის მამა ანდრონიკეს გლინის უდაბნოს წიმამძღვარი არქიმანდრიტი მოდესტი და მისი მესენაკე ბერმონაზონი პავლინე (არდადეგების დროს) ეწვივნენ. მეუფემ უთხრა მამა პავლინეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ,რომ მამა ანდრონიკესთვის არქიმანდრიტის წოდების მინიჭება უნდოდა, მაგრამ, სთხოვა, არ ეთქვა ამის შესახებ ბერისთვის.

ნაშუადღევს მობრძანდა მეუფე და სთხოვა მამა ანდრონიკეს, წირვა დაეყენებინათ. მამა ანდრონიკე შეიმოსა და დაიწყო მსახურება. ამ დროს მეუფე იდგა ომოფორითა და ოლარით. მან სთხოვა მამა ანდრონიკეს, დაეხარა თავი და მაშინვე წაუკითხა არქიმანდრიტის ხარისხში აყვანის ლოცვა. ამის შემდეგ ბერს დაახურეს მიტრა, რომელიც თერთმეტი წლის განმავლობაში, სიკვდილამდე არც ერთხელ არ დაუხურავს თავმდაბლობის გამო.

ბერი ანდრონიკე დიდი სიყვარულით მონაწილეობდა ღვთისმსახურებაში მეუფე ზინობთან ერთად წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში.იგი გულმოდგინედ მონაწილეობდა ყველაფერში, რის საშუალებასაც მოხუცსს საკუთარი ძალები აძლევდა. კვირაში ორჯერ - შაბათს და კვირას, აგრეთვე სადღესასწაულო დღეებში ეზიარებოდა უფლის წმინდა სისხლსა და ხორცს. იგი იღებდა აღსარებებს,

ასრულებდა კვეთას, მონაწილეობდა პარაკლისებში და ყოველთვის ხარობდა.

ღირსმა მამამ მოილოცა ივერიის ყველა წმინდა ადგილი. იყო მცხეთაში, სადაც უფლის კვართია, ეწვია ბოდბეს - წმინდა ნინოს მოსაგრეობის ადგილს. იგი აღფრთოვანებული იყო საქართველოს ფერწერული სილამაზით. სიხარულით აღსავსე ხმით იგი წამოიძახებდა ხოლმე: ეს პალესტინაა! ეს პალესტინაა! მას ძალიან უყვარდა ჩვენი ბუნება.

იყო ისეთი მომენტიც, როდესაც მამა ანდრონიკემ სთხოვა კურთხევა მიტროპოლიტ ზინობის, გაეშვა იგი საკხოვრებლად ჟიროვიცკის მონასტერში. მას უნდოდა, თავისი ძვლები წმინდა სავანის მინისთვის მიებარებინა. მეუფემ არ მისცა კურთხევა და ბერმა მიიღო ეს, როგორც ღმრთის სიტყვა. ჩემი ნება არ არის, არამედ ღმრთის ნებაა, - ამბობდა იგი. იგი სრულებით არ განაწყენებულა და ჩვეულებრივად განაგრძობდა კვეთას და აღსარებების მიღებას. მრევლი კი ცდილობდა, როგორმე მოხვედრილიყო მასთან აღსარებაზე.

ჩამოსულთათვის იხდიდა მგზავრობის პარაკლისს, მსურველებს სცხებდა ზეთს და ყველა ღვთისმსახურებაში სიხარულით და აქტიურად მონაწილეობდა. ტაძრის საერთო პარაკლისებზე გამოდიოდა მიტროპოლიტთან ერთად, ყოველთვის აღტაცებით ხვდებოდა ნებისმიერი ღვთისმსახურების დაწყებას.

წირვის დამთავრების შემდეგ მამა ანდრონიკე არ ისვენებდა. იგი განმარტოვდებოდა და კითხულობდა სახარებას, შემდეგ ჭამდა. იგი ყოველთვის მიტროპოლიტთან ერთად ტრაპეზობდა, რომელსაც იგი ძალიან უყვარდა. სადილის შემდეგ, ლოცვების დაწყებამდე სამლოცველოში იმყოფებოდა, რომელიც ტაძრის ეზოში მდებარეობდა. შემდეგ კი მისი კარი ღია იყო ყველასთვის. იგი ყურადღებით უსმენდა მოსულს, მერე ანუგეშებდა, აძლევდა სულისთვის სასარგებლო რჩევა-დარიგებებს. ასე მიედინებოდა მისი გაბრწყინვებული ცხოვრება და ანათებდა ყველა გარშემო მყოფს. იგი ქეშმარიტად ეკლესიის ანთებული სანთელი იყო.

ბოროტის ვერანაირ მანქანებას ვერ გამოყავდა მამა ანდრონიკე წონასწორობიდან და ღმერთმა იგი ყველგან ადიდა. მასთან ბევრი მოდიოდა სულისთვის სასარგებლო საუბრისთვის და ისიც ყველას მოძღვრავდა სახარებისეული მაგალითებით.

განსაკუთრებით აფრთხილებდა ყველას, განშორებოდნენ ქედმაღლობას და განკითხვას. ერთ-ერთ სულიერ შვილს მან უამბო, როგორ განეშორა ერთ ძალიან თავმდაბალ და მოკრძალებულ ბერს ღმრთის მადლი, როდესაც მან ვიღაც განიკითხა. ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ, - ამბობს უფალი. არა უშავს, ღმერთი ყველაფერს ხედავს, ვინ ადრე ჭამს, ვინ გვიან, ვინ ბევრს, ვინ - ცოტას,ყველა ღმერთმა შექმნა, ჰოდა ჭამონ, ნურაფერი ნუ გაგიკვირდებათ და ნურავის განიკითხავთ.

მამა ანდრონიკე დღედაღამ უფლის სათნოებებში შეცადინეობდა და ზრდიდა მათ, თავის გადარჩენაზე მუდმივად ზრუნავდა.

თავის მორჩილებს იგი ეუბნებოდა: ყოველ ჟამს ფხიზლად უნდა ვიყოთ და ვილოცოთ, რადგან უფალმა უთხრა თავის მონაფეებს: იღვიძებდით და ილოცევდით. განუწყვეტლივ ილოცეთ, ყოველთვის სიკვდილის მოლოდინში იყავით, შიშით გქონდეთ მარადიული ცეცხლისა. ნუ შეგაშინებთ ცხოვრების სიძნელეები და სიმძიმე საერო პირობებში, რადგან მხოლოდ მრავალი მწუხარების დათმენით შესაძლებელია ცათა სასუფეველში შესვლა. ადგილი კი არ განწმენდს ადამიანს, არამედ ადამიანი ადგილს. სადაც მონაზონია, იქ მონასტერია. იცხოვრეთ მონაზვნურად და მონასტერიც ეგ არის. გონიერად იცხოვრეთ, სიწმინდეში, ლოცვაში, რომ არ მოგისწროთ უეცარმა სიკვდილმა და უფლის რისხვამ. ბევრს დაუძინია და ველარ გაუღვიძია. ასევე ჩვენც ვწვებით დასაძინებლად და არ ვიცით, გაგვეღვიძება თუ არა დილით. ლოცვის კანონის შესრულებას ნუ აარიდებთ თავს.

ბერ ანდრონიკესთან მონაზვნები სხვა მონასტრებიდან, და რუსეთის სხვადასხვა კუთხიდანაც ჩამოდიოდნენ. ჩამოსულან ბერები სერგი რადონეჟელის ლავრიდანაც. მოძღვარი ყველას სიხარულით იღებდა და დაუზარელად არიგებდა: კეთილი საქმეებით აღასრულეთ უფლის მცნებები, მორჩილებით, კრძალულებით და თავმდაბლობით. მამა ანდრონიკესთან მოსკოვის სემინარიისა და აკადემიის სტუდენტებიც ყოფილან, რომელთაც იგი მოძღვრავდა: შეისწავლეთ სჯულის კანონები, იქონიეთ წმინდა გული და სული. სულის სამოსია ჭეშმარიტი რწმენა, ლოცვა, ცრემლები. ოხვრა და სინანული თან გახლდეთ და უფალი არ მიგატოვებთ.

მომსვლელებსაც არიგებდა და თავის ლოცვის კანონს სისტემატურად ასრულებდა, კითხულობდა წმინდა მამების თხზულებებსა და ცხოვრებას. საუბრებში ხშირად მოყავდა მაგალითები მათი ცხოვრებიდან.

მკაცრი ცხოვრების წესით მრავალი წელი განვლო მამა ანდრონიკემ და ყოველთვის მიაბიჯებდა ვიწრო ეკლიანი გზით და, დამშვენებულმა მრავალი სათნოებებითა და ჭაღარით სიბერეს მიაღწია. თავდაუზოგავად, დაუღალავად იღვწოდა, მკაცრი თავშეკავებით, მარხვით, მღვიძარებითა და ლოცვით უახლოვდებოდა ამ ცხოვრებიდან გასვლის ჟამს. იგი ხშირად ეუბნებოდა თავის მორჩილებს: ვაბარებ თქვენს თავს ღვთისმშობელს, ის არ მიგატოვებთ. მან თქვენ ამოგირჩიათ და ის გადაგარჩენთ. ასევე ეუბნებოდა იგი ერისკაცებსაც.

მამა ანდრონიკეს ბოლო ღმრთისმსახურება ზეციურ მხედრობათა მთავარანგელოზის, მიქაელისადმი მიძღვნილი წირვა იყო. ლიტურგიის დროს იგი ეზიარა უფლის წმინდა სისხლსა და ხორცს.

როდესაც იგი საღამოს ლოცვებზე მიდიოდა, მას შეხვდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დავითი, რომელიც მიტროპოლიტ ზინობთან იყო მობრძანებული. მან დალოცა მამა ანდრონიკე და უთხრა: მამა ანდრონიკე, მე გაძლევთ ღვთისმსახურების ჟამს მიტრის ტარების კურთხევას, რაზედაც ბერმა უპასუხა, რომ იგი სქემოსანია. პატრიარქმა გაუმეორა: არა უშავს, მე მაინც გაძლევთ კურთხევას. საღამოს ლოცვების შემდეგ იგი გაემგზავრა თავის კელიაში, რომელიც 3 კილომეტრით იყო მოშორებული ტაძარს. იმ საღამოს მამა ანდრონიკე მისმა სულიერმა შვილმა - იღუმენმა პავლემ ინახულა. მან უამბო პატრიარქთან შეხვედრისა და მიტრის ტარების შესახებ კურთხევაზე. მე არსად არ მიტარებია იგი და არ შემიძლია, - უთხრა ბნერმა.

დილით, 9 ნოემბერს, დილის ლოცვების კითხვის დროს მამა ანდრონიკემ კითხვა გაურკვევლად და აბნეულად დაიწყო. მალე მას მეტყველება წაერთვა, ძლივს თქვა, რომ ცუდად არის. მამა ანდრონიკე დააწვინეს. მას წაერთვა მარცხენა მხარე. მძიმე მდგომარეობა გრძელდებოდა სამ დღეს. მიტროპოლიტი ზინობი მას ყოველდღე ნახულობდა. ბევრს ეგონა, რომ მისი აღსასრულის ჟამი დადგა: მასთან განუწყვეტლივ იმყოფებოდნენ იღუმენი პავლინე, მღვდემონაზონი ბენიამინი, მისი მესენა-

კე. ისინი ენაცვლებოდნენ ღამის განმავლობაში ერთმანეთს, ფხიზლობდნენ თავიანთ მძიმე ავადმყოფ სულიერ მამასთან. სამი დღის შემდეგ იგი უკეთ გახდა, ხოლო 25 დღის შემდეგ აღუდგა მეტყველება, მაგრამ არა სრულყოფილად. მასთან განუშორებლად იყვნენ მღვდელმონაზვნები ბენიამინი და ფილარეტი. მამა ადრონიკეს კეთილსინდისიერი მოვლისთვის მღვდელმონაზონ ფილარეტს მიტროპოლიტმა ზინობიმ ილუმენობის წოდება მიანიჭა, კვერთხის ტარების უფლებით.

მწოლიარე მამა ანდრონიკეს ბევრი ვეღარ ნახულობ-და, (რომ არ შეეწუხებინათ) მაგრამ ვინც კი მიდიოდა, იგი ყველას სიხარულით იღებდა. ზედმიწევნით ჭკუის სასწავლებელი და სულის ხსნისთვის სასარგებლო იყო მამა ანდრონიკეს ბოლო დღეები. გრძნობდა, რომ ავადმყოფობა უკურნებელია, უარს ამბობდა ექიმის ჩარევაზე და თავის ტანჯვაში შეწევნას ზეციური ექიმისგან ეძიებდა. ავადმყოფობის ჟამს ღმრთის სათნომყოფელ მამას რამდენჯერმე ჩაუტარეს შვიდგზის ზეთისცხება, ხოლო ზიარებით იგი თითქმის ყოველდღე ეზიარებოდა.

დიდი მარხვის დაწყებისთვის მამა ანდრონიკე ცოტათი მომჯობინდა. პირველ კვირაში იგი გალობდა დიდი კანონის ირმოსებს პამაზნიკ ი პოკროვიტელ და ხშირად ამბობდა ქრისტე აღსდგა! შემდეგ კი ავადმყოფობა სულ უფრო და უფრო იპყრობდა მას. მხედველობა დაუქვეითდა, მაგრამ სულიერი თვალი ბოლომდე ნათელი ჰქონდა. იგი ხშირად სთხოვდა თავის მოწაფეებს, ფილარეტს და ბენიამინს, რაიმე წაეკითხათ მისთვის საღმრთო წერილიდან, აგრეთვე, წმინდა მამათა თხზულებებიდან და ეგალობათ საგალობლები ღვთისმშობლისადმი: ცარიცა მოია პრებლაგაია და სხვები.

მამა ანდრონიკეს ანდერძი არ დაუტოვებია თავისი დასაფლავების შესახებ. იგი ყველაფერში ღმრთის ნებას და ღვთისმშობლის მფარველობას ეყრდნობოდა.

გრძნობდა უფალთან წარდგომის მოახლოებას, მან მოიწვია მიტროპოლიტი ზინობი და უთხრა: გადავდივარ თქვენგან ჩვენს მამებთან. თქვენ კი გთხოვთ, მეუფეო, გაუფრთხილდეთ ჩვენი სავანის ბერებსა და მორჩილებს, ნუ მიატოვებთ მათ, და ღვთისმშობელიც არ მიგატოვებთ თქვენ. მეუფემ მოისმინა მისი თხოვნა და ატირდა, ატირდა მამა ანდრონიკეც, შემდეგ ჩაეძინა და მეუფე წავიდა.

დიდი მარხვის მესამე კვირეულში ბერის მდგომარეობა გაუარესდა, საკვებზე უარი თქვა. კვირას, 17 მარტს, დილით იგი უგრძნობლად იყო. ასეთ მდგომარეობა საღამომდე გაგრძელდა. მას არავინ აწუხებდა. ელოდებოდნენ, სანამ თვითონ ანიშნებდა რამეს და მართლაც, 10 საათისთვის მან გაახილა თვალი და მკაფიოდ წარმოთქვა: უფლის წყალობა ყოველივეს დაფარავს. შემდეგ იგი მომღიმარი ვიღაცას აკურთხებდა, მერე კი კვლავ ღრმა ძილს მიეცა. 19 მარტს მან ჩუმად უთხრა ბერებს, რომლებიც არ სცილდებოდნენ, რომ სიკვდილის გზას შეუდგება. საღამოს მან დაიძინა. ძილის დროს მაჯისცემა შეუსუსტდა, სუნთქვა შეუნელდა და სახეზე ნათელი და სრული სიმშვიდე მოეფინა. 1974 წლის 21 მარტის დამდეგს, დილის 6 საათზე მამა ანდრონიკემ მშვიდობიანად მიაბარა სული უფალს. მისი სახე იყო ნათელი, თითქოს ცოცხალიაო. ბერებმა, რომლებიც მასთან იყვნენ, შემოსეს მისი პატიოსანი სხეული სქემით, ფილონით, ხელებზე ძალიან დაძველებული სამკლავენი, რომელთაც მამა ანდრონიკე დიდხანს ინახავდა თავისი დასაფლავებისთვის. შემდეგ ახლადშესვენებულს გადაუხადეს პანაშვიდი პირდაპირ სენაკში და დაიწყეს სახარების კითხვა.

სევდის გარეშე ემზადებოდა მ წუთისოფლიდან გასასვლელად მამა ანდრონიკე, არ წუხდა ამ ცხოვრებასთან განშორების გამო. სიხარული და ნუგეშინისცემა ცოტა იყო მის მძიმე მოსაგრე ცხოვრებაში. თავის სენაკში, რომელშიც უკიდურესი სიღატაკე სუფევდა, მას არაფერი ჰქონდა, რამდენიმე ხატისა და წიგნების გარდა, რომლებითაც ლოცულობდა. იცვამდა ძალიან უბრალოდ, ბუნებით არ უყვარდა ძვირფასი სამოსი. ფულადი დანაზოგი არასოდეს ჰქონია. სახარებისეული მოწყალების გაცემით ზრდიდა მამა ანდრონიკე თავის საგანძურს ცათა სასუფეველში. იგი სხვებსაც ამას შთააგონებდა: სადაცა არნ საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი. ქრისტეს სიტყვებისამებრ თავის გულს ცათა სასუფეველში აუნჯებდა, იქვე აიტაცებდა თავის გონებასაც. სიკვდილის ხსოვნა, როგორც ერთგული დარაჯი, იცავდა მართლის გულს წუთისოფლის სიამტკბილობაზე მიჯაჭვისგან, შთაბერავდა მას მარადისობისკენ სწრაფვას.

სამოცდა რვა წელი გაატარა უფლის რჩეულმა მამა ანდრონიკემ მოსაგრე ბერის ცხოვრებით და აღსასრული, უფლის ნებით, მშობლიურ სავანეში არ მოუწია.

21 მარტს კუბო შესვენებულის ცხედრით დააბრძანეს წმინდა კეთილმსახური მთავრის, ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში, სადაც მან 11 წელი იღვაწა. მიტროპოლიტმა ზინობიმ სასულიერო პირებთან ერთად გადაიხადა დიდი პანაშვიდი. მამა ანდრონიკეს ცხედარი იმყოფებოდა ტაძარში 26 მარტამდე. კუბოსთან განუწყვეტლივ იკითხებოდა სახარება და სრულდებოდა პანაშვიდები.

შესვენებული მოსაგრისა და საყვარელი მასწავლებლის გასვენებაზე ჩამოვიდა მრავალი სასულიერო პირი რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან: მისი სულიერი შვილი არქიმანდრიტი იოანე (მასლოვი) - მოსკოვის სასულიერო აკადემიის დოცენტი, არქიმანდრიტი იოანე (ჩუვიზგალოვი) ქალაქ პერმიდან, იღუმენი ბესარიონი (გორდიენკო) ტამბოვის ეპარქიიდან, იღუმენი ნიკონი (სმარკალოვი) ოდესის მონასტრიდან, იღუმენი ილარიონი (პრიხოდკო) ნოვგოროდიდან, მღვდელმონაზონი სიმეონი (ნესტერენკო) გუდაუთიდან, მღვდელმონაზონი კრონიდი, მოსკოვის სასულიერო აკადემიის სტუდენტი, დეკანოზი ანატოლი კურსკის ეპარქიიდან და მრავალი სხვა.

წესი აუგო მიტროპოლიტმა ზინობიმ. წესის აგებაში მონაწილეობას ღებულობდა 30-მდე მღვდელმსახური. წესის აგების შემდეგ იღუმენმა ილარიონმა წარმოთქვა გამოსამშვიდობებელი სიტყვა, რომელშიც მწუხარება გამოხატა საყვარელი მამისა და დამრიგებლის დაკარგვის გამო. შემდეგ კუბო ცხედრით შემოატარეს ტრაპეზს და გამოაბრძანეს საკურთხევლის კარიდან. პროცესია გაემართა დაკრძალვის ადგილისკენ - ქალაქის ღრმაღელის სასაფლაოსკენ.

ლიტიის გადახდის შემდეგ, სამუდამო ხსენების გალობისას კუბო შესვენებულის ცხედრით ჩაუშვეს სამარეში. უდიდესი მწუხარებითა და ცრემლით მიაბარეს იგი მიწას.

უფლის რჩეულის თხოვნა, რომ ყველას ელოცა მისი სულის მოსახსენებლად, არ იქნა დავიწყებული. მოსიყვარულე და მოწყალე ბერის სახე ღრმად ჩაიბეჭდა ადამიანთა გულებში. მოძღვრის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემელი მიდიოდა მის საფლავზე, რათა გადაეხადა პანაშვიდი ან უბრალოდ, ელოცა მისთვის. ხალხი მას არ ივიწყებდა. მლოცველებს მის საფლავზე მიჰქონდათ ყვავილები, რგავდნენ ვარდებს. თვითონ მამა ანდრონიკე მის სიცოცხლეში ითხოვდა, მოეტანათ მის საფლავზე ყვავილები. იგი ამბობდა, რომ ყვავილები ახსენებენ

მას სამოთხის სილამაზეს. ბევრი მისი ლოცვითა და მეოხებით ღმრთისგან ღებულობდა სასწაულებრივ შეწევნას, მწუხარენი - ნუგეშინისცემას, ავადმყოფები - კურნებას.

მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ, მიტროპოლიტმა ზინობიმ, როგორც მოსიყვარულე და მზრუნველმა მამამ, მე-40 დღისთვის საფლავი შემოაღობინა და დაამშვენა მარმარილოს წარწერით. ხოლო მე-40 დღეს თვით პატრიარქი დავით V მობრძანდა მიტროპოლიტ ზინობისთან და სასულიერო პირებთან ერთად. გადაიხადეს პანაშვიდი. უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა დავით V-მ სამჯერ ქრისტე აღსდგა-თი მიმართა მამა ანდრონიკეს და წარმოთქვა: მამა ანდრონიკე, ჩვენ ვიცით, რომ შენ ცათა სასუფეველში ხარ. ეს ჩანდა შენი აქაური ცხოვრებით. შენ არ გყავდა მტრები, ყველა გიყვარდა და შენც ყველას უყვარდი. ყველასთვის ღია იყო შენი მოსიყვარულე გული. ილოცე ჩვენთვის, რათა ჩვენც მივიღოთ ზეციური ნეტარება. შემდეგ უწმინდესმა პატრიარქმა დავით V-მ მადლობა გადაუხადა მიტროპოლიტ ზინობის საფლავის მოპირკეთებისთვის გაწეული შრომისთვის და უთხრა, რომ მამა ანდრონიკე მადლობას უძღვნიდა მას ამისთვის და ბოლოს ანუგეშა დამწუხრებული მიტროპოლიტი. შემდეგ ორი გლინელი ბერი: იღუმენი ვლასი და იღუმენი პავლინე აღიყვანა არქიმანდრიტის ხარისხში. ანუგეშა ასევე, დამწუხრებული მრევლი და მამა ანდრონიკეს თაყვანისმცემლები, რომელიც რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ ჩამოსულნი.

საქართველოში ყოფნისას ბერის საფლავი ინახულა მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ, ლეონიდემ, რიგისა და სრულიად ლატვიის ეპისკოპოსმა. მან გადაიხადა პანაშვიდი. ასევე მოინახულა მამაოს საფლავი მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ, ყირიმისა და სიმფეროპოლის მთავარეპისკოპოსმა ლეონტიმ. მანაც პანაშვიდი აღასრულა.

ბევრნი ახლაც მოდიან მამა ანდრონიკეს საფლავზე. მოდიან შემწეობისთვის, იღებენ მიწას ნეტარის საფლავიდან და ეს მიწა მოძღვრის ლოცვით, ანუგეშებს და კურნავს მათ.

მისი ხსოვნა არ გაქრება მადლიერ ადამიანთა გულებში.

ლოცვითა შენისა სათნო-მყოფელისათა, უფალო, ღირს გვყავ შენი მოწყალებისა ამა სოფლად და მარადიული ნუგეშისა. ამინ.

მოგონებები

მამა პავლინემ მამა ანდრონიკეს ცხოვრების მოკლე აღწერა პირველად დაწერა დაახლოებით 1975 წელს. ჩვენ დროს წიგნები თავისუფლად გამოიცემა, იმ წლებში კი სასულიერო ლიტერატურა თითქმის არ ან იშვიათად გამოიცემოდა.

მამა ანდრონიკეს ცხოვრება დაიბეჭდა ხელის საბეჭდ მანქანაზე მრავალ ეგზემპლარად და ურიგდებოდა სულიერ შვილებს, ძირითადად, თბილისში.

ეს პირველი გამოცემის მასალაა, ანუ დედანი. ჩვენი სულიერი მამის კურთხევით, რომელიც მამა ანდრონიკეს სულიერი შვილი არის, ჩვენ შევაგროვეთ სხვადასხვა პირის მონათხრობები, რომლებიც ახლაც ცოცხლები არიან და იგონებენ, თუ რა დაამახსოვრდათ ყველაზე მეტად მამა ანდრონიკესთან ურთიერთობისას. ასევე დავამატეთ ფოტოები: მამა ანდრონიკესი, გლინელი მამებისა და თბილისელი სასულიერო პირების, რადგან გლინელმა მამებმა თბილისში ჩამოსვლით ჩამოიტანეს იმ წმინდა სავანის სული რომელოც ჩვენთანაც დამკვიდრდა.

გლინის უდაბნოს დახურვის შემდეგ მისი მოსაგრე ბერები სხვადასხვა მხარეს დაიფანტნენ, ბევრი მათგანი კავკასიაში ჩამოსახლდა.

ბერი სერაფიმე (რომანცოვი) და რამდენიმე გლინელი ბერი დასახლდა სოხუმში და იყვნენ მიტროპოლიტ ილიას (ახლა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II) მფარველობის ქვეშ.

გლინელი მამები, რომლებიც თბილისში ცხოვრობდნენ, იმყოფებოდნენ მიტროპოლიტ ზინობის მფარველობის ქვეშ. მამა ანდრონიკესთან მეუფე ზინობის ჰქონდა დიდი სულიერი კავშირი. ისინი თითქოსდა ავსებდნენ ერთმანეთს.

იმ წლებში ქალაქ თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში ჩამოდიოდნენ მომლოცველები მორჩილები ეპისკოპოსები რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან როგორც მეუფე ზინობისთან, ასევე, მამა ანდრონიკესთან.. მეუფის მფარველი ანგელოზის დღეს ყოველთვის მრავალი სტუმარი

იყრიდა თავს და ყველასთვის მზად იყო მყუდრო ადგილ-სამყოფელი და თბილი მიღება. მეუფის მდივნის მოვალეობას ასრულებდა პავლე კოსაჩი. პავლე ასრულებდა მეუფის ყველა დავალებას, როგორც ერთგული მორჩილი: ვინ სად მოეთავსებინა, ვისთვის რომელი წმინდა ადგილები ეჩვენებინა, ვის თვითმფრინავის ბილეთი სჭირდებოდა, ვის გაცილება - ყველა სამეურნეო დავალებას ასრულებდა.

1973 წელს პავლე აკურთხეს დიაკვნად, შემდეგ - მღვდლად, ერთ წელიწადში კი დეკანოზობა მიანიჭეს,მიტრის ტარების უფლებით.

ალექსანდრე ნეველის ტაძარში იყვნენ ასეთი დეკანოზები,: დეკანოზი მიქაელი (დიდენკო) და დეკანოზი გიორგი (პილგუევი). მამა მიქაელი ტენორი იყო და როდესაც მსახურებდა, მისი წკრიალა ხმა ტაძრის ყველა კუთხეში ისმოდა. ყოველთვის დღესასწაულის გრძნობა გეუფლებოდა. მამა გიორგი კი ბანი იყო, ხშირად დიაკვნობდა (რადგან მაშინ მღვდლები ცოტანი იყვნენ და დიაკვანი კი სულ არ ჰყავდათ) და ალამაზებდა ღმრთისმსახურებას.

ჩამოდიოდა ხოლმე სემინარისტი ისიდორე. მამა ანდრონიკე დაჯდებოდა ხოლმე მასთან ერთად სკამზე და დიდხანს ესაუბრებოდა. საღამოს მსახურებაზე ისიდორე მედავითნეობდა, თანაც ისე კარგად, რომ არ მოგბეზრდებოდა მისი მოსმენა. თითოეული სიტყვა სულში შემოდიოდა. ინატრებდი, რომ კიდევ ჩამოსულიყო ისიდორე. ჩამოვიდა, ახლა უკვე მეუფედ (ახლა - კრასნოდარის და კუბანის მიტროპოლიტი). და ასე, ბევრნი ჩამოდიოდნენ და გვახარებდნენ თავიანთი კითხვით, გალობით, ღვთისმსახურებით.

ჩვენი ბერების სიკვდილის შემდეგ (მამა ანდრონიკე აღესრულა 1974 წლის 21 მარტს, ხოლო მეუფე ზინობი - 1985 წლის 8 მარტს ახ. სტ.) და პერესტროიკის დაწყების მერე იშვიათად თუ ვინმე ჩამოვიდოდა, ახლა კი სულ არავინ ჩამოდის.

გლინელი მამებისთვისაც აღარ დარჩა ადგილი. მამა პავლინე გაემგზავრა სტავროპოლ.ის ეპარქიაში ბაქოში. სადღეისოდ იმყოფება მოსკოვში, ნოვო-სპასოვის მონასტერში არქიმანდრიტის ხარისხში, სახელით გური.

მამა ესაია იმყოფება კურსკის ეპარქიაში, კურსკო-ზნამენსკის მამათა მონასტრის წინამძღვრად. მისი ახლანდელი ადგილსამყოფელი არ ვიცით, იგი ყოველთვის გადამფრენი

ფრინველი იყო და მის გამოჩენას ყოველთვის სიხარულით ხვდებოდნენ.

მამა ვლასი გაემგზავრა ოდესის მამათა მონასტერში, მაგრამ სიკვდილის წინ დაბრუნდა თბილისში და დაკრძალულია თბილისის ღრმაღელის სასაფლაოზე.

ბერი იოანიკე გაემგზავრა ტულაში, სადაც აღესრულა 1991 წელს.

მამა პავლე (კოსაჩი) თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრიდან გადაიყვანეს წმინდა იოანე ღმრთისმეტყველის სახელობის ტაძარში. მან მოაწყო იქ მამა ფილარეტი და მამა ბენიამინი. მამა ფილარეტი შტატგარეშე მღვდელია, ხოლო მამა ბენიამინი იყო მნათე. ახლა იგი ავადმყოფობის გამო ღვაწლს განაგრძობს თავის სენაკში. აი ეს ორი გლინელი მამაღა დარჩა ჩვენთან თბილისში.

იღუმენი ფილარეტი იხსენებს: საბჭოთა კავშირში მორწმუნეებს დევნიდნენ. იყო დრო, როდესაც მათ ხვრეტდნენ, სცემდნენ, ყველანაირად აწამებდნენ, ასახლებდნენ ციმბირში და ა. შ. განსაკუთრებით ვერ იტანდნენ სასულიერო პირებსა და ბერებს.

მამა ანდრონიკე დაპატიმრებული და გადასახლებული იყო კოლიმაზე, ციხეში, საერთო კამერაში. მან აირჩია ადგილი კართან (პარაშასთან) იქ, სადაც განათება იყო და ყოველღამე კითხულობდა საგალობელს იესო ქრისტეს ვნებანი. ერთხელ, ღამის სიჩუმეში, ამ საგალობლის კითხვის დროს კარებში გაისმა კლიტეების რახა-რუხი. მე გულში გავიფიქრე, ოღონდ საგალობელს ნუ წამართმევენ და დაე, რეჟიმის დარღვევისთვის კარცერში ჩამსვან-მეთქი. როგორც კი ეს გავიფიქრე, გაიღო კარი და საკანში შემოვიდა მაშინ უკვე განსვენებული დედაჩემი. მე დავიყვირე: დედიკო! ის მომიახლოვდა და მითხრა: შვილო, ნუ იდარდებ, ღვთისმშობელი შენ არ მიგატოვებს. და მორჩა, უცებ გაქრა ყველაფერი. მამა ანდრონიკემ დაამატა: დედაჩემი იყო პოლტაველი სოფლის დედაკაცი, მან არ იცოდა რუსული ენა, აქ კი სუფთა რუსულით მელაპარაკა.

მამა პავლინემ (მამა ანდრონიკემ ეს უამბო მამა პავლინესა და მამა ფილარეტს) წამოიძახა: მამა, მაშ ეს თვით ღმრთისმშობელი იყო! მამა ანდრონიკე სდუმდა. ასეთ რამეებზე ის არასოდეს ლაპარაკობდა. და საერთოდ, არასოდეს არაფრით არ ცუდმედიდურობდა.

მამა ანდრონიკეს ძალიან უყვარდა თავისი სულიერი შვილები, განსაკუთრებით, გლინელები. როგორც ნამდვილი მამა, ისე ზრუნავდა თავის სულიერ შვილზე, მამა პავლინეზე. გლინის უდაბნოს დახურვის შემდეგ იგი სულ მამა პავლინეს გვერდში ედგა, ზრუნავდა მასზე, ლოცულობდა მისთვის, მასთან ერთად განიცდიდა ყოველივეს.

შემდეგ მისი მესენაკე გახდა მამა ბენიამინი. უკვე ავადმყოფობის ჟამსაც კი მამა ანდრონიკე სულ თავის სულიერ შვილებზე ზრუნავდა. მისი თხოვნით მამა ბენიამინი ჯერ ბერდიაკვნად, ხოლო მერე კი მღვდელმონაზვნად აკურთხეს. ეს კი ასე მოხდა: მამა ანდრონიკე არაერთხელ სთხოვდა მეუფე ზინობის, ეკურთხებინათ ბერი ბენიამინი ბერდიაკვნად. მეუფე კი არ ჩქარობდა. ერთხელაც ჩამობრძანდა სიმფეროპოლისა და ყირიმის მთავარეპისკოპოსი ლეონტი (ისიც გლინელი იყო). მამა ანდრონიკემ მასაც იგივე სთხოვა და მაშინვე თანხმობა მიიღო. ასე რომ, მეუფე ზინობიმ მსწრაფლ აკურთხა მამა ბენიამინი.

ვინმე ეწვია მამა ანდრონიკეს, იგი კი გახარებული ეუბნება: მამა ბენიამინი უკვე ღვდელმონაზონია, იგი ნამდვილად ღირსდა, ან უცებ იტყვის: მამა ესაია დიდი იქნება.

მამა ანდრონიკე ღვთისგან განმჭვრეტელობის უნარით იყო დაჯილდოებული. იყო უპოვარი, თავმდაბალი, მოკრძალებული და ძლიერი მლოცველი.

მამა ესაია იხსენებდა: ბერად აღკვეცამდე უნდა მეთქვა აღსარება, ბავშვობიდან მოყოლებული. მოვემზადე, მივედი მამა ანდრონიკესთან და ვეუბნები აღსარებას. თითქოს ყველაფერი ვუთხარი, ის კი მეუბნება: იხვი მოგიკლავს? არა, - ვეუბნები. გაიხსენე, გაიხსენე, - მეუბნება მამა ანდრონიკე და მეც მართლაც გამახსენდა: ბავშვობაში ჩემს ტოლებთან ერთად ვთამაშობდი მდინარეზე. ვისროლე ჯოხი, მოხვდა იხვს და მოკვდა. საიდან გაიგო ეს ამბავი მე თვითონ აღარ მახსოვდა და არც არავისთვის მიამბია.

მამა ფილარეტი იხსენებდა: მე მყავდა სულიერი დედა, ის ძალიან მთხოვდა მასთან ჩავსულიყავი, მე კი სემინარიის დამთავრების შემდეგ გლინის უდაბნოში გავემგზავრე. ერთხელ, მსახურების დამთავრების შემდეგ, ყველანი გავიდნენ ეკლესიიდან. მე კი დავრჩი და ვფიქრობდი, ხომ არ წავსულიყავი მოხუც მონაზონთან, მაგრამ რაღაც მერიდებოდა,

ჩასვლისთანავე უკან გამობრუნება. არ ვიცოდი რა მექნა. ჩვეულებრივად მამა ანდრონიკე ტაძრიდან ყველაზე გვიან გადიოდა. გამოდის საკურთხეველიდან და მეუბნება: გაემგზავრე, გაემგზავრე წმინდა საქმეა, საჭირო მეორე შემთხვევაც: პეტერბურგის სემინარიაში ჩააბარებ თუ არა ბოლო გამოცდას გაანთავისუფლებ ადგილს საერთო საცხოვრებელში. საცხოვრებელი არსად მქონდა, გავემგზავრე სერგიევო-პასადში, იქ ჩამსვლელებს 24 საათით სტოვებენ, მერე კი სად წავსულიყავი არ ვიცოდი. ამ განსაცდელში ვარ და ვიღებ დეპეშას მამა ანდრონიკესგან: ქ. ხასავიურტიდან: სასწრაფოდ ჩამოდი.

1956 წელს მე, ბორის კუდინოვი გლინის მონასტერში მიმიღეს.მე და რამდენიმე მორჩილი უფროს ბერთან ერთად დაგვასახლეს ერთ-ერთ სენაკში.ჩემი საწოლი ჩარჩოიან ფანჯრებთან იდგა. თითქმის ერთი წლის შემდეგ საღამოს ჩვენ სენაკში შემოვიდა მამა ანდრონიკე , მან უჩუმრად აკურთხა ჩემი საწოლი და გავიდა. ღამით ქარიშხალი ამოვარდა, ქარი ყველაფერს გლეჯდა და ჩვენ ყველას გაგვეღვიძა. ქარმა ფანჯარა ჩარჩოიანად ამოაგდო, მაგრამ მინები ჩამსხვრევას გადაურჩა, ჩარჩო ჩემი საწოლის წინ იდო, თითქოს ვიღაცამ აიღო და სათუთად დადო. ჩვენმა უფროსმა ბერმა აიღო ჩარჩო და თავის ადგილას ჩასვა. ასე ამიარა გვერდი განსაცდელმა მამა ანდრონიკეს ლოცვით.

მამა ბენიამინი იხსენებს: ჩვენი ოჯახი ნიჟეგოროდსკის ოლქიდან ჩადიოდა ხარკოვში და სულიერ საზრდოს მონაზონ ფეოდოსიასგან იღებდა. ბელგოროდში მონასტრის დახურვის შემდეგ მან თავის გარშემო შემოიკრიბა ქალები. დედა ფეოდოსიამ მე, ვიქტორ სელივანოვი მაკურთხა მომელოცა წმინდა ადგილები:კიევი, პოჩაევო და გლინი. მე მაშინვე გლინის უდაბნო მომეწონა. მამა ანდრონიკემ პარაკლისი გადაიხადა მოგზაურობის მნეებელთათვის და მე მითხრა: ბერი იქნები. მე ბევრი არ მიფიქრია, სახლში ჩამოსვლისთანავე გავემზადე და წავედი გლინის უდაბნოში. გავხდი ბერი.

1961 წელს მონასტერი დახურეს. ყველანი გაიფანტნენ. ზოგი სად, ზოგი სად, მე წავედი სვანეთის მთებში, სადაც მოსაგრეობდნენ ბერები. ცხოვრობდნენ იქ მამა აქილე და მამა პიმენი. მოგვიანებით ჩვენ მთებიდან დაგვითხოვეს. მე ჩამოვედი თბილისში და მამა ანდრონიკეს მორჩილებაში ვიყავი. დილისა

და საღამოს ლოცვებს შორის მე და მამა ანდრონიკე წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის სამრეკლოში ვატარებდით.

ერთხელაც ჩამოვიდნენ მამა აქილე და მამა პიმენი, გამომიძახეს და მარწმუნებდნენ წავსულიყავი მათთან ერთად ძველ ათონზე. მე ვუთხარი, რომ ვარ მორჩილებაში მამა ანდრონიკესთან. მაშინ ისინი მოძღვართან წავიდნენ. რაზე ისაუბრეს მათ, არ ვიცი. მე მამა ანდრონიკესთან დავრჩი, მან მითხრა: აშენ იქნები ათონზე...

მოგვითხრობს სერგი კალიაგინი - წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძრის მგალობელი და მორჩილი: ხშირად დავდიოდი მამა ანდრონიკესთან მორჩილებაზე: შეშას ვჭრიდი, ვხერხავდი და ვაკეთებდი საშინაო საქმეებს. მამა ანდრონიკე ცდილობდა, რომ ყოველთვის გამმასპინძლებოდნენ, თვითონ მოჰქონდა ყველაფერი და აწყობდა მაგიდაზე. დედა ევგენია დიასახლისი, სადაც მამა ანდრონიკე ცხოვრობდა, ერთხელ მეუბნება: სერგეი, მოიტანე ჩანთები ჩვენი ზამთრის მარაგიდან ცოტაოდენს გიწილადებო. მივედი მან ჩანთები ამივსო კონსერვებით, მაშინვე მამა ანდრონიკე გამოვიდა და გახსნა ჩანთები,იქ კი ყველა ქილა ამობერილიყო. მოძღვარი მეუბნება: სერგეი ყველაფერი გადაყარე მეც ყველაფერი გადავყარე. მან დედა ევგენიას უთხრა: რახან ღარიბები და მშივრები არიან, ყველაფერს შეჭამენ? ჩაალაგე ყველაფერი საუკეთესო და ადამიანებს მხოლოდ საუკეთესო მიეცი ხოლმე. მე გავწითლდი, დედა ევგენია ჩემზე უარესად გაწითლდა.

წმინდა სერგის ლავრიდან მამა ანდრონიკესთან სამი ბერი ჩამოვიდა, ეს იყო პატრიარქი ალექსი I-ის სიკვდილის შემდეგ.ისინი ამბობდნენ რომ მიტროპოლიტ ნიკოდიმოსს ძალიან უნდა პატრიარქობა, ხოლო მამა ანდრონიკემ თქვა: არა-არა, პიმენი იქნება და მართლაც პატრიარქი პიმენი გახდა.

წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის ეზოში არის მცირე ზომის სამრეკლო, რომელშიც მამა ანდრონიკეს ხშირად ნახავდით. მას იქ მალავდნენ კომუნისტური რეჟიმისას ატეხილი დევნის დროს. მის სენაკს ორი მორჩილი დარაჯობდა, რათა არავინ შესულიყო შიგ. მამა ანდრონიკემ მითხრა, თუ ვინმე ძალიან გაჭირვებული იყოს, მომიყვანეო. ტაძარში შევნიშნე მწარედ მოტირალი ქალი, რომელსაც მწუხარების მიზეზი ვკითხე,მანაც მიამბო თავისი ისტორია. თურმე ყოფილა

მონაზონი, მისი მონასტერი კომუნისტებს დაუხურავთ და ისიც დასთან გადასულა საცხოვრებლად, რომელსაც დიდი ხანი ველარ უტვირთვია მონაზონი და, დაუთხოვია იგი.მასაც მოუხერხებია გზის ფული შეუგროვებია და თბილისში ჩამოსულა. მე მოვახერხე და ისე, რომ არავის დაუნახავს მამა ანდრონიკესთან შევიყვანე კელიაში. მისი ამბის მოსმენის შემდეგ მოძღვარმა აკურთხა მოსკოვში წასულიყო, ღირსი სერგი რადონეჟელი ყველაფერს მოაწყობსო.

ერთხელ წმინდა სერგის სამების ლავრაში მოსალოცად ჩავედი. ჩემს ფეხებთან ერთმა მონაზონმა ტირილით დაიჩოქა.შეცბუნებულმა წამოვაყენე იგი. მონაზონი ათას მადლობას მიხდიდა თბილისში მამა ანდრონიკესთან შეხვედრისათვის, რომელმაც იქ ჩასვლის ლოცვა-კურთხევა მისცა და მომითხრო რაც მისი თბილისიდან გამომგზავრების შემდეგ თავს გადახდა. ეს მონაზონი გაემგზავრა მოსკოვში და მაშინვე ლავრას მიაშურა. იქ საღამოს მსახურება იყო, იგი დაესწრო მსახურებას. მერე კი იმისთვის დარბოდა, რომ ღამის გასათევი ეპოვნა. ლოცვის დამთავრების შემდაგ ტაძრის გარშემოვლის დროს მან შენიშნა მოხუცი მონაზონი, რომელსაც გადაადგილება უჭირდა და დაეხმარა გზის გაკვლევაში. ეს მონაზონი, იქვე ლავრასთან ცხოვრობდა და ჰქონდა ორსართულიანი სახლი თავისი ეზოთი და ბაღით. იმ ღამეს მოხუცმა მონაზონმა შეიფარა ახალგაზრდა. მეორე დღე რომ გათენდა, სტუმარი სახლის მოწესრიგებას შეუდგა და ერთ კვირაში ისე დააწკრიალა იქაურობა, რომ კარ-მიდამოს ვერ იცნობდი. მოხუცმა მონაზონმა კვირის თავზე ნოტარიუსი მოაყვანინა და სასწრაფოდ გადაუფორმა სახლი, რადგანაც შეუძლოდ გრძნობდა თავს და ემზადებოდა იმ ქვეყნისათვის. ასე უბოძა უფალმა უპოვარ მონაზონს სამების წმინდა სერგის ლავრის მეზობლად მშვიდი სამყოფელი.

მონაზონი რიფსიმია ყვებოდა: დედაჩემი დაუძლურდა და ხშირად ავადმყოფობდა, სულ სიკვდილის მოლოდინში ვიყავით. ვთხოვე მამა ანდრონიკეს, ილოცეთ, რომ დედამ კიდევ იცოცხლოს. მოძღვარი მეუბნება: იცოცხლებს, მე მოვკვდები, მეუფე მოკვდება, მერე კი -დედაშენი. ერთხელაც დედა ძალინ ცუდად გახდა: მაჯისცემა გაუჩერდა. მორჩა, კვდება. მე დავეცი მამა

ანდრონიკეს წინაშე მუხლებზე და ვემუდარები: შენ ხომ მითხარი, მეუფის მერე მოკვდებაო, ის კი უკვე კვდება, მიშველე! დედა უცებ უკეთ გახდა, ე.ი. გაცოცხლდა და მართლაც, მამა ანდრონიკეს ნათქვამის დასტურად, მის სიკვდილსაც მოესწრო და მეუფე ზინობისაც.

ვინმე იხსენებდა: მივედი მამა ანდრონიკესთან პატარა ბავშვებით კურთხევისთვის. პატარას გადაუსვა თავზე ხელი და თქვა: მასწავლებელი იქნება, უფროსზე კი - ბედნიერი იქნებაო. პატარები უკვე დიდი ხანია, წამოიზარდნენ, თვითონ ყავთ შვილები. უმცროსი ხან კარგს ჩადიოდა და ხან - ცუდს, თითოეული მისი მოქმედება ჩემთვის ჭკუის სასწავლებელი და დათმენის გაკვეთილი იყო, ხოლო უფროსს ოჯახური ცხოვრება არ აეწყო და ის სულიერი გზით წავიდა. ეტყობა, ეს არის ერთადერთი ბედნიერება - იცხოვრო ქრისტეში და მსახურებდე მას.

მივედი მამა ანდრონიკესთან სამლოცველოში შვილების შესახებ საკითხავად, ის კი მეუბნება: ახლა, მადლობა ღმერთს, გზები ღიაა, მოვა დრო-საზღვრებს დანიშნავენ. მოგინდება შვილების მონახულება და ვერ შეძლებ. მე ცოდვილმა კი გავიფიქრე: რაღაც მოძღვარი ვერ ამბობს სიმართლეს, რა საზღვრები! და აი, მოვიდა საზღვრების დრო, გინდა ისინი ინახულო, მაგრამ ხან ვიზებიო, ხან შესაძლებლობა არ არის, ყველაფერში დაბრკოლებაა.

... პირველად ჩემს ცხოვრებაში, 1958 წელს შვებულებაში ყოფნისას მოვილოცე გლინის უდაბნო - ჩემი პირველი მონასტერი. უმეტესი დრო გავატარე მორჩილების შესრულებაში. აღსარებაზე მამა ანდრონიკესთან მოვხვდი. მან მითხრა: მონაზონი რომ გახდები, კვლავ ჩამოდი ჩვენთან მონასტერში. ამ წმინდა სავანეში ყოფნისას ვგრძნობდი ღმრთის მადლს, რომელიც შემდეგ დიდხანს დარჩა ჩემში და მე თითქოს მეორედ დავიბადე.

ჩემი მეორედ ჩასვლისას მამა ანდრონიკემ მომცა საქართველოში მონასტერში გამგზავრების კურთხევა. შემეშინდა: მონასტერში კარგია, მაგრამ საქართველოში? ყველაფერი შესრულდა მამა ანდრონიკეს ლოცვა-კურთხევით. სამსახურიდანაც გავთავისუფლდი და დედაც შეეგუა ამ აზრს. და აი, მე უკვე საქართველოში ვარ, მცხეთის წმინდა ოლგას სახელობის დედათა მონასტერში. როდესაც გლინის უდაბნო დაიხურა, მამა

ანდრონიკე გადმოვიდა საქართველოში, სოფელ ახკერპში, დედათა თემში. დაიხურა წმინდა ოლგას სახელობის დედათა მონასტერი და მე მოძღვრის კურთხევით, ვცხოვრობდი დედებთან, სადაც ადრე იყო ივერიის ღვთისმშობლის სავანე. მამა ანდრონიკე გვერდით არის და ძნელია, დაიტიო ის მადლი, რომელიც გადმოდიოდა ჩემში მისი ლოცვებით. მამა ანდრონიკე გადმოვიდა თბილისში, მე მაკურთხა მორჩილებისათვის მეუფე ზინობთან. როდესაც მამა ანდრონიკეს კურთხევით დედაჩემი ჩამოვიდა წმინდა ოლგას სახელობის დედათა მონასტერში, იგი მან მონაზვნად აღკვეცა. ერთხელ მეუფე ზინობმა თქვა: თქვენი პირველი მფარველი მამა ანდრონიკეა, მეორე კი - მე.

ვინმე იხსენებდა: ახალგაზრდობაში შეყვარებული ვიყავი და წავედი ახკერპში მამა ანდრონიკესთან ჩემი პრობლემების გადასაწყვეტად. მოვუყევი ყველაფერი. ის კი მეუბნება: დაო, მარტოდ ყოფნა უკეთესია, თორემ დაქორწინდებიან, იცხოვრებენ 2-3 თვეს და ისეთ რამეებს მოიმოქმედებენ! ამ სიტყვების წარმოთქმის დროს მამა ანდრონიკემ თავზე ხელი შემოირტყა და გააგრძელა: შეხედავ და ანგელოზს ჰგავს, არ ეწევა, არ სვამს. არა, გათხოვება შეიძლება, მაგრამ უმჯობესია, შენი რჩეული მაზიარებელი იყოს, ისე კი, რა საჭიროა? აი ასე, ჩემო დაო. ისე კი ჯობს, მარტო დარჩე. მერე კი ისევ გაიმეორა: არ ეწევა, არ სვამს, მაგრამ ისეთ საშინელებას ჩაიდენს... მე დავუჯერე და წამოვედი. ჩამოვედი თბილისში, წავედი დიდუბის ეკლესიაში, დიდუბის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატთან. ასე ვევედრები ჩემი სიყვარულისგან განთავისუფლებას: ღვთისმშობელო, ნეტა ცოლი მოიყვანოს, რომ მე აღარ ვიფიქრო მასზე! და უცებ, თითქოს გულში დანა ჩამასეს, ძალზე მეტკინა. მე შიშით ისევ ვთხოვე: დედაო ღმრთისა, თუ მისი ქორწინება ასეთ ტკივილს მომიტანს, ჩემი სიტყვები უკანვე მიმაქვს. გავიდა 2-3 წელი. ქალაქში დაიწყო მითქმა-მოთქმა, გაზეთებშიც წერდნენ, თუ როგორ გადმოაგდო ქმარმა თავისი მეუღლე მე-3 თუ მე-4 სართულიდან და ის ადგილზევე გარდაიცვალა.

შევხვდი ჩემს ამხანაგს და ის მეუბნება: იცი, ვინ არის ის მკვლელი? ის არის! და ამბობს მის სახელს, ვინც მე მიყვარდა. მე კი წამოვიძახე: ის ხომ არც ეწეოდა და არც სვამდა! და მაშინვე გამახსენდა მამა ანდრონიკეს სიტყვები. იმ კაცმა თავის ცოლთან სულ ორი თვე იცხოვრა.

ჩავედი ჩემს სულიერ მოძღვართან მცხეთაში და ის მეუბნება: აი ხედავ, სიკვდილს გადაურჩი! მე კი, როგორც სულელმა, გავიფიქრე: დიდი რამე, საყვარელი ადამიანი თუ მოგკლავს. ვლოცულობდი მკვლელისთვის. ის დიდხანს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იწვა, მერე კი რა მოუვიდა, აღარ ვიცი. დავრჩი მარტო უფალთან, როგორც მირჩია მამა ანდრონიკემ.

აი, მამა ანდრონიკე უკვე თბილისშია, ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში, იღებს აღსარებებს, ღვაწლშია.

დიდმარხვაში ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესრულებაში ისიც იღებდა მონაწილეობას, მხოლოდ კი არ დადიოდა ტაძარში, როგორც სხვა მღვდლები და ისე კი არ სცხებდა ზეთს, არამედ მხოლოდ მგალობლებს და მათ, ვინც მის გარშემო იდგა. მე, ცოდვილი, ვდგავარ სმოლენსკის ღვთისმშობლის ხატთან და გულში ვევედრები: მამა ანდრონიკე, მოდი ჩემთან, ერთხელ შენც მცხე ზეთი! აქ წესია: სიარული არ შეიძლება, შენთვის კი ყველაფერი შესაძლებელია, შეისმინე და მოდი! და უცებ მამა ანდრონიკე წამოვიდა ჩვენსკენ. მამა პავლინემ ვერ მოასწრო მისი შეჩერება, მხოლოდ უთხრა: შენ საით? მამა ანდრონიკემ კი ზეთი სცხო ხუთ ადამიანს, მათ შორის მეც და უკან გაბრუნდა. ჩემს სიხარულს ვერ გადმოგცემთ. მან ჩემი შეისმინა!

აღსარებაზე მამა ანდრონიკესთან საათობით ვიდექით. მიხვალ, ეუბნები აღსარებას, თითქოს არაფერი გამოგრჩა, ის კი გეუბნება: აი, ეს იყო? გრცხვენია გახსენება, მაგრამ ეუბნები: იყო.მოძღვარი გეუბნება: მოინანიე, მოინანიე. აღსარების ბოლოს მამა ანდრონიკე ყოველთვის გეკითხებოდა: ყველას ყველაფერი შეუნდე? ყველას ყველაფერი მიუტევე! ეს კი რა ძნელია: ყველას ყველაფერი შეუნდო. დგახარ და ჭოჭმანობ და ეუბნები: ვცდილობ. ის კი პასუხად: შეუნდე, შეუნდე!

აი, კიდევ რა მოხდა მამა ანდრონიკეს კურთხევით. ერთხელ მივედი აღსარებაზე. მიმდინარეობდა წირვა. რომ დავამთავრე, მამა ანდრონიკე მეუბნება: წადი მარცხენა კლიროსზე. მე მერიდება, მაგრამ მორჩილად მივდივარ. დავდექი ნაპირზე. მიყურებენ: ვინ არის? დედა თეოფილა მიცნობდა და აუხსნა, ვინც ვიყავი და მითხრა: მოდი ხოლმე ჩვენთან ხშირად. ჰოდა მეც მომეცა საშუალება და სამსახურის შემდეგ სულ მოვრბოდი ტაძარში: ვკითხულობდი და ვგალობდი. მამა ანდრონიკესაც ისე დავუახლოვდი! ის დილა-საღამოს ტაძარშია, ლოცულობს და გვისმენს, რას ვკითხულობთ, რას ვგალობთ. საღამოს

მსახურების შემდეგ ყველა მგალობელს დაგვლოცავდა. ხშირად იცოდა თავში ჩაკაკუნება და ვისაც თავი სტკიოდა-უვლიდა, ვისაც ცუდი აზრები უტრიალებდა-უქრებოდა.

ხანდახან მას წასაყვანად ელოდებოდნენ და აჩქრებდნენ, ჩვენ კი, მგალობლები, მივძახოდით: მამა ანდრონიკე, საყვარელო, გვაკურთხე! როგორც კი გვაკურთხებდა, ჩვენ თითქოს ფრთები გვესხმებოდა.

აი, მედავითნე კითხულობს სამადლობელ ლოცვებს, მამა ანდრონიკემ კი მეუფეს გაუწოდა ღვთისმშობლის სახელზე ნაკვეთი დიდი სეფისკვერი და ეუბნება: უნდა მივცეთ მედავითნეს. მეუფეც ლოცავს მედავითნეს. მეუფე და მამა ანდრონიკე, როგორც ორი მორჩილი, ძალიან უჯერებდნენ ერთმანეთს, უყვარდათ ერთმანეთი. მათი შემხედვარე, ვხარობდი. მამა ანდრონიკე ხშირად მადლობას უხდიდა მედავითნეებს და ეუბნებოდა: უფალმა გაცხოვნოთ კანონის კითხვისთვის. მხოლოდ იცოდეთ, სიამაყემ არ გძლიოთ!

მამა ანდრონიკე ავად გახდა. მას დამბლა დაეცა. გვეგონა, მოკვდებოდა, მაგრამ წელიწადნახევარი ლოგინში გაატარა. მას უვლიდნენ იღუმენი ფილარეტი და იღუმენი ბენიამინი. მე და ორი მგალობელი დავდიოდით მის სანახავად, ხანდახან მარტოც მივდიოდი. ერთხელ ვეუბნები: მამა ანდრონიკე, მაკურთხე, ვისთან ჩავაბარო აღსარება? მამა ესაიასთან თუ მამა ვლასითან? ორნივე გლინელები იყვნენ. მამა ანდრონიკე მპასუხობს: მამა ესაიასთან. მამა ბენიამინი, რომელიც საუბარს ესწრებოდა, მეუბნება: მამა ვლასითან უმჯობესია, ის ასაკოვანია. მე კი გადავწყვიტე, რადგანაც მითხრა ესაია, ესე იგი, ესაია. წამოვედი, მეგონა, რომ საკითხი გადავწყვიტე. ბოროტი კი შემომიჩნდა: არ გინდა მამა ესაია. მინდოდა მამა ანდრონიკესთან მისვლა, მაგრამ ვეღარ მოვასწარი, იგი აღესრულა. მე კი დავრჩი ასე მერყეე მდგომარეობაში.

მოვდივარ ტაძარში. მამა ანდრონიკე კუბოშია, კითხულობენ სახარებას. მე მივდივარ, რომ ხელზე ვეამბორო. არც კი შემინიშნავს, მეორე მხრიდან შემოსულა მამა ესაია და ჩვენ მის ხელთან შევეჯახეთ თავებით - ასე დაზუსტდა ყველაფერი. მამა ანდრონიკე კუბოშიც კი მამა ესაიასთან მაკურთხა და მე როგორც იქნა, დავმშვიდდი.

მამა ანდრონიკესთან თავს მსუბუქად და კარგად ვგრძნობდი. მისი სიკვდილის შემდეგ კი მე ხშირად ვეცემოდი და

ვეცემოდი, მამა ესაია კი მეხმარებოდა ადგომაში. და მაშინ მივხვდი, თუ რაოდენ სწორი იყო მამა ანდრონიკე, როდესაც მაკურთხა, რომ აღსარებისთვის მამა ესაიასთან მევლო.

ჩვენი მეუფე ზინობი თავმდაბლობის განსახიერებაა. ხანდახან შემეკითხებოდა ხოლმე: როგორ ხარ? მე კი გავკადნიერდებოდი და ვპასუხობდი: ოჰ, მეუფე, მე მხოლოდ მამა ანდრონიკე მშველოდა. მეუფე კი: რას ამბობ! მეც ხომ ვლოცულობ შენთვის!

და ძალიან, ძალიან შეგრცხვებოდა. აი, როგორი მეუფე გვყავდა.

ერთმა ღმრთისმოშიშმა მოსკოველმა ქალმა, მარია დობროდეევამ, მამა ანდრონიკეს პატივისმცემელმა, გვიამბო შემდეგი ამბავი:

მას ფეხი ჰქონდა მოტეხილი და ძალიან აწუხებდა. როდესაც მან მიიღო დეპეშა მამა ანდრონიკეს გარდაცვალების შესახებ, ტკივილი გადაავიწყდა. იგი ჩამოფრინდა შაბათს და მაშინვე ტაძარში მივიდა, სადაც მსახურება მიმდინარეობდა. იგი ემთხვია კუბოს, შემდეგ - მამა ანდრონიკესაც.

მარიამმა იგრძნო, როგორ გახდა უკეთ. ფეხი სრულიად აღარ სტკიოდა და იგი დარჩა მამა ანდრონიკესთან ტაძარში მთელი ღამე.

თბილისის ზღვასთან მდებარე ღრმაღელის სასაფლაოს, სადაც მამა ანდრონიკეა დაკრძალული, ყველანი ვთვლით ჩვენს სასაფლაოდ. იქ განისვენებენ ჩვენი მამები და დედები. ჩვენ ხშირად დავდივართ მამა ანდრონიკეს საფლავზე და ვუვლით ჩვენთვის ძვირფას საფლავებს.

მამა ანდრონიკეს გვერდით დაკრძალულია არქიმანდრიტი ბარსანოფი (მამა ვიაჩესლავ ველიჩკო). ერთხელ მამა ანდრონიკემ უთხრა მამა ვიაჩესლავს: ჩვენ ყოველთვის გვერდიგვერდ ვიქნებით. და მართლაც, ერთმანეთის გვერდით განისვენებენ.

ბევრი რამ შესრულდა მამა ვიაჩესლავის ცხოვრებაში მამა ანდრონიკეს ლოცვა-კურთხევით: წმინდა იოანე ღვრთისმეტყველის სახელობის ეკლესიის მგალობელი ვიაჩესლავი მეორე დღეს უნდა ეკურთხებინათ დიაკვნად იგი მივიდა მამა ანდრონიკესთან, მან კი უპასუხა: ჯერ ადრეა დაიცადე 7777 და ყველაფერი იქნება. ასე 1977წელს 7 რიცხვში მეშვიდე თვეს ვიაჩესლავი აკურთხეს დიაკვნად. აღესრულა მამა ვიაჩესლავი

7 რიცხვში მეშვიდე თვეს. ყველა ღირსშესანიშნავი ამბავი მის ცხოვრებაში 7 რიცხვში ხდებოდა.

მამა ვიაჩესლავს სამი შვილი ჰყავდა.ერთ-ერთ მონაზონს უმცროსი შვილის, ანგელინას წაყვანა სურდა მონასტერში. კურთხევისათვის მივიდნენ მამა ანდრონიკესთან მან კი უთხრა: არა, არა, ორი გოგონა გათხოვდება, ხოლო შენ ეყოლები დედ-მამას მომვლელად და შენ უფალი არ მიგატოვებს, იქნები ეკლესიაში მგალობელი და ყოველივეს დაითმენ. ყველაფერი ასეც მოხდა.

იყო ასეთი შემთხვევა. წავედი სასაფლაოზე მარტო, მამა ანდრონიკეს საფლავზე საერო პანაშვიდი აღვასრულე. ჩემს გვერდით თერთმეტიოდე წლის ბიჭი ტრიალებდა. მე მას ხურდა ფული მივეცი და დავუწყე სწავლება, რომ არ მოეპარა, არ შეეგინებინა და ა.შ. გამოვედით ცენტრალურ გზაზე სახლში დასაბრუნებლად. გარშემო არავინ იყო. უცებ ეს ბიჭი უკნიდან მეცა, გამომგლიჯა ჩანთა და გაიქცა. მე 68 წლის ვარ, სირბილი არ შემიძლია და დავიწყე ყვირილი: პასპორტი, პასპორტი! ბიჭმა გაირბინა 50-100 მეტრი, უცებ გადააგდო ჩანთა და გაიქცა. ყველა ჩემი ნივთი: პასპორტი, სხვადასხვა დოკუმენტი, ფული, გასაღები, მეტროს ბილეთი,ადგილზე იყო. მე ავიღე ჩანთა და ღმერთს მადლობა შევწირე ამ სასწაულისთვის. რატომ დააგდო ბიჭმა ჩანთა, არ ვიცი. ჩემთვის ეს ნამდვილი სასწაულია. ვგონებ, მამა ანდრონიკეს შევებრალე და უფალს შესთხოვა ჩემთვის.

გავიდა დრო. მე კი ყოველთვის ვიხსენებ ამ სასწაულს და მადლობას ვწირავ უფალს და მამა ანდრონიკეს ჩემი შეწყალებისთვის.

დიდება უფალს!

დეკანოზ გიორგის(პილგუევი) წერილიდან.

როდესაც მივიღე წიგნი დიდ ხუცესზე, სქემარქიმანდრიტ ანდრონიკეზე, გამიჩდა სურვილი ცოტა რამ მეც დამემატებინა.

ზოგჯერ ჩვენ ვეკითხებოდით ჯანმრთელობაზე: როგორ ხართ? მოხუცი გვპასუხობდა: როგორც ბელურა! მაგრამ ხომ უნდა მიხვდე ამ სიტყვების აზრს ბოლომდე და ჩვენ ვთხოვდით ახსნას და იგი გვპასუხობდა: ბელურა ყლურტულებს და თითქოს და იძახის:ცოცხალი ვარ, ცოცხალი. აი თქვენ პასუხი. ამ

სიტყვებით მართლაც, რომ ყველაფერი ნათქვამია, რადგანაც თავის სატკივარზე იგი არასდროს ლაპარაკობდა.

მისი თავმდაბლობა გარეგნულიც იყო და შინაგანიც, და ჩვენ ახალგაზრდა მღვდელმსახურებს გვიკვირდა, თუ როგორ დადიოდა ის ყოველთვის თავჩაღუნული და უწყვეტად ლოცულობდა, მისი პირსახე ყოველთვის ქვევით, მიწას უყურებდა.

ერთხელ ჩვენ შევეკითხეთ მამა ანდრონიკეს: თქვენ ჯარში მსახურებდით და ყოფილხართ მწკრივში, იქ როგორღა იდექით?

იგი გასწორდა, გადაიშალა მხრებში და თქვა: აი ასე! და მაშინვე თავი მორჩილად დაღუნა, და გვითხრა,რომ თავმდაბლობა და მორჩილება - მარილია ქრისტიანული ცხოვრების. თავმდაბლობა აღემატება ნებისმიერ ქრისტიანულ სათნოებას.

ზოგჯერ მე სიამოვნებით დამყავდა ჩემი მანქანით მოხუცი ტაძრიდან თავის სენაკამდე, რომელიც დიდუბეში იყო.ერთხელ მე ხუმრობით შევეკითხე მამა ანდრონიკეს: ამ მომსახურეობისთვის სად და როგორ გავსწორდებით?

ამაზე მოხუცმა მიპასუხა ხელის ერთი მოძრაობით, თითი ზეცას მიაპყრო.იქ ჩვენ ყველანი გავსწორდებით - იქ ჩვენი საერთო სამშობლოა.

ამ წიგნისათვის დიდ მადლობას გიხდით,მე მას მოუთმენლად ველოდი.მანამდე მე წავიკითხე წიგნი სქემარქიმანდრიტ ვიტალიზე. ისიც ძალიან მომეწონა. მამა ანდრონიკეზე მონათხრობმა წიგნმა კი ძალიან გამამხნევა და მე ვმადლობ უფალს, რომ მე ცოდვილს მომიწია ყოფნა გვერდით ასეთ დიდ ბერთან, როგორიც სქემარქიმანდრიტი ანდრონიკე იყო.

1.ადგილი, სადაც მოვლინებულ იქმნა ღვთისმშობლის შობის სასწაულმოქმედი ხატი, იქვე აშენდა სამრეკლო.



2. გლინის უდაბნო 1920წ.

3. სქემარქიმანდრიტი იოანიკე გლინელი.

4. ცენტრში – კურსკელი მთავაოეპისკოპოსი პავლინე. მისი კვეოთხის უკან ბერ-დიაკონი ანდრონიკე.

5. ა) სქემარქიმანდრიტი სერაფიმე (რომანცოვი), სქემარქიმანდრიტი სერაფიმე (ამელინი) – გლინის უდაბნოს წინამძღვარი (1942 – 1958 წწ), სქემარქიმანდრიტი ანდრონიკე (ლუკაში)

ბ) სქემარქიმანდრიტი ანდრონიკე და ბერი იოანიკე.

6. მეუფე ზინობი გლინის უდაბნოში.

7. ა) სქემარქიმანდრიტ სერაფიმეს (ამელინი) კუბოსთან.



ბ) ჯვართამაღლების სამხრეთ კედელთან სამი საფლავი: არქიმანდრიტ ნექტარის (ნუჟდინი, 1863 – 1943 წწ) ,სქემიღუმენი ანტონის (ვეტერი, 1870 – 1946წწ), სქემარქიმანდრიტ სერაფიმეს (ამელინი, 1874 -1958 წწ.)



8. მეუფე ზინობი, მამა ანდრონიკე და მამა პავლინე (მიშჩენკო) თბილისი.

9. მარცხნიდან მარჯვნივ: არქიმანდრიტი მოდესტი (გამოვი) – გლინის
უდაბნოს ბოლო წინამძღვარი, მიტროპოლიტი
ზიბონი (მაჟუგა)სქემარქიმანდრიტი ანდრონიკე (ლუკაში),
სქემარქიმანდრიტი სერაფიმე (რომანცოვი), მეუფის უკან
მარცხნივ – დეკანოზი მიქაელი (დიდენკო), მარჯვნივ – დეკანოზი
გიორგი (პილგუევი).

10. ა) საზეიმო ლიტურგიის შემდეგ მეუფე ზინობის ანგელოზის დღეს.

ბ) მარცხნიდან მარჯვნივ: არქიმანდრიტი ვლასი, მიტროპოლიტი ზინობი, დეკანოზი გიორგი.

11. მარჯვნიდან მარცხნივ: სქემარქიმანდრიტი ანდრონიკე, მიტროპოლიტი ზინობი, მამა ანდრონიკეს უკან მღვდელ-მონაზონი პავლინე, დეკანოზი გიორგი.

12. სქემარქიმანდრიტი ანდრონიკე.

13. მსახურება წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში. (ლიტია)

14. მამა ანდრონიკე.

15. ა) სქემარქიმანდრიტი ანდრო

ბ) მამა ანდრონიკე აკურთხებს ერთ – ერთ მრევლს.

16. წმინდა სერვის სამეპის ლავრაში. საქართველოს

პატრიარქი დავით V და მიტროპოლიტი ზინობი.

17. მიტროპოლიტი ილია (შემდგომში პატრიარქი სრულიად საქართველოისა ილია II) და მიტროპოლიტი ზინობი.

18. კათოლიკოს პატრიარქი სრულიად საქართველოისა ილია II, მიტროპოლიტი ზინობი, დეკანოზი პავლე (კოსაჩი).

19. მარცხნიდან მარკვნისკ. არქიმანდრიტი ვლასი,
მიტროპოლიტი ზინობი, იღუმენი ფილარეტი, იღუმენი ბენიამინი.

20. იღუმენი ესაია. ქრისტე აღსდგა!

21. საღვთო ლიტურგია მეუფე ხინობის ანგელოზის დღეს.



22. მარცხნივ – იღუმენი ბენიამინი (სელივანივი), მარჯვნივ – იღუმენი ფილარეტი (კუდინოვი).

23. ქვედა რიგი მარცხნიდან მარჯვნივ: მეუფე ზინობი მეუფე ლეონტი, ნაპირას – მღვდელ – მონაზონი პავლინე. მეორე რიგი მარჯვნივ მეორე ბერი ბენიამინი, მამა ანდრონიკეს მესენაკე (შემდგომში იღუმენი).

24. პიუხტინის მონასტერი: მიტროპოლიტი ალექსი (შემდგომ სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II) და მიტროპოლიტი ზინობი.

25. მიტროპოლიტი ზინობი მის უკან მაოკვნივ მამა ვიაჩესლავი (ველიჩკო).

წმ. ალექსანდრე – ნეველის ტაძარი. მამა ანდრონიკე კუბოში.
ცენტრში, მიტროპოლიტი ზინობი. მისგან მარჯვნივ:
არქიმანდრიტი იოანე (მასლიოვი), მამა პავლინე, მამა ფილარეტი.

26.მამა ანდრონიკეს კუბოსთან მეუფე ხინობის მაოცხნივ
- დეკანოზი მიქაელი. მაოკვნივ – დეკანოზი გიორგი.

27. მამა ანდრონიკეს დაკრძალვის დღეს მარჯვნიდან
მარცხნივ: იღუმენი ფილარეტი, იღუმენი ესაია.

28. 26 მარტი 1974 წელი, მამა ანდრონიკეს სულის საცხოვნებლად წესის აგებას აღასრულებს მიტროპოლიტი ზინობი.

29. ღრმაღელის სასაფლაო, სქემარქიმანდრიტ ანდრონიკეს განსასვენებელი ადგილი.

30. ღრმაღელის სასაფლაო. მამა ანდრონიკეს საფლავზე.

დამატება

2010 წლის 21 აგვისტოს გლინსკის უდაბნოს სავანეში მოხდა წმინდანად აღიარება: სქემიტროპოლიტ სერაფიმე – ზინობისა (მაჟუგა), სქემარქიმანდრიტ ანდრონიკესი (ლუკაში) და სქემარქიმანდრიტ სერაფიმესი (რომანცოვი). ამავე დღეს შეისვენა სქემარქიმანდრიტმა გური – პავლინ (მიშჩენკო), რომელიც მამა ანდრონიკეს მორჩილი იყო. იგი ავტორია მამა ანდრონიკეს "ცხოვრებისა", რომელიც თბილისში იქნა გამოცემული.

ტროპარი ღირსისა მამისა ანდრონიკე გლინელისა ხმა – 4

გლინსკის უდაბნოს ჭეშმარიტო მუშაკო
ქრისტესო, ღირსო მამაო ანდრონიკე, რომელმან
იღვაწე სიმდაბლითა და მორჩილებით ცხოვრებით
ქრისტეს სული იყო შენთანა ამა ქვეყნად და
პყრობილებასა შინა, რომელმან იტვირთე უღელი
ქრისტესი, მორჩილ და მდუმარე იყავ ფრიად;
ლოცვათა აღავლენდი ყოველთა კაცთათვის. მისითა
ლოცვებით, მრავალმოწყალეო უფალო, აცხოვნენ
სულნი ჩვენნი.